

**დავალება 3**

1. შეაფასე, რა გავლენა იქონია ქართლის აჯანყებამ ეგრისის პოლიტიკურ მდგომარეობაზე.
2. ტექსტისა და წყარო 4-ის მიხედვით შეაფასე ლაზიკაში ბიზანტიელთა მოქმედება.



სურ. 2.2.6.1. ბიზანტიის იმპერია VI საუკუნეში.

532 წლის ზავით ბიზანტიასა და სპარსეთს შორის დროებითმა მშვიდობამ დაისადგურა. ეს დრო ბიზანტიამ ლაზიკაში საკუთარი პოზიციების გასამყარებლად გამოიყენა, რადგან კარგად აცნობიერებდა ლაზიკის სტრატეგიულ მნიშვნელობას როგორც თავისთვის, ისე სპარსეთისათვის.

**წყარო 5**

„სპარსელები, თუ ისინი ლაზიკეს ხელთ იგდებენ, ადვილად შეძლებენ, ბიზანტიონამდე მისვლას ზღვაზე გაუსვლელად... მას (შაჰს) ხომ ღირსშესანიშნავ მოპოვებად მიაჩნდა, კოლხიდის ქვეყანა საკუთრებად ჰქონოდა მითვისებული, რადგან, მისი აზრით სპარსეთის ძალაუფლებას ეს დიდ სარგებლობას მოუტანდა; იბერიაც ხომ მომავალში უშიშრად ეპყრობოდა, რადგან იბერებს აღარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვისთანაც ისინი განდგომის შემთხვევაში თავს გადაირჩენდნენ...“

პროკოპი კესარიელი.

ეგრისის მოსახლეობა აღარ ეპუებოდა ბიზანტიელი სარდლებისა და მოხელეების თვითნებობას. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ამ დროის ბიზანტიელი ისტორიკოსებიც დაუფარავად ამხელდნენ სტრატეგოს იოანე ციბესა და მისი კარისკაცების უმსგავსოებს.

**წყარო 6**

„სტრატეგოსობამდე (იოანე ციბემ) მიაღწია სხვა არაფრით, გარდა იმისა, რომ ყველაზე უფრო საზიზღარი იყო და ყველაზე უფრო მოხერხებული ფულის საშოვნელად უსამართლო საშუალებათა გამოგონებაში. ის იყო რომ რომაელთა და ლაზთა ყველა საქმეები გაამრუდა და არივდარია...“


პროკოპი კესარიელი.

შექმნილი ვითარება ძალიან ამწვავებდა ლაზებისა და ბიზანტიელების ურთიერთობას და თანდათან მათ შორის წინააღმდეგობებს აღრმავებდა. ლაზი პოლიტიკოსები ბიზანტიის ძალმომრეობისგან თავდასაღწევად სპარსეთის ძალის გამოყენებას გეგმავდნენ.

**წყარო 7**

ლაზი ელჩი სპარსეთის შაჰს ასე უხასიათებდა შექმნილ ვითარებას: „ჩვენს მეფეს ხომ მეფობის გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვით მიითვისეს: მეფეც მომსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულელებელი სტრატეგოსის ეშინია. უამრავი ჯარიც ჩავიყენეს, მაგრამ არა იმიტომ რომ დაიცვან ეს ჩვენი ქვეყანა... არამედ, რათა დავემწყვდიენით ჩვენ როგორც სადილეგოში და ჩვენს ქონებას დაჰპატრონებოდნენ“.

პროკოპი კესარიელი.



სურ. 2.2.6.2. ციხე-სიმაგრე ლაზიკაში.

542 წელს, ხელმოწერიდან ათი წლის თავზე, დაირღვა „საუკუნო ზავი“. სპარსელები ლაზების მეგზურობით დასავლეთ საქართველოში შემოდიან და ამით ბიზანტიასთან ომს აახლებენ.

**წყარო 8**

ლაზთა მეფე გუბაზი „ეთაყვანა ხოსროს კავადის ძეს, ვითარცა ბატონს და თავისი სამეფო ძალა-უფლებითურთ და მთელი ლაზიკე გადასცა მას“.

პროკოპი კესარიელი.

ლაზთა და სპარსელთა გაერთიანებულმა ლაშქარმა ბიზანტიელებთან ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. რამდენიმე მნიშვნელოვანი ციხესიმაგრის აღების შემდეგ, მათ ბიზანტიელთა მთავარ სიმაგრეს, ქალაქ პეტრას შემოარტყეს ალყა. სტრატეგოსმა იოანე ციხემ, ხანმოკლე წინააღმდეგობის შემდეგ, სიცოცხლისა და ქონების ხელშეუხებლობის გარანტიით დათმო ქალაქი. ეს კი, ფაქტობრივად, სპარსელთა გამარჯვებას მოასწავებდა.


მაგრამ სპარსეთი ომს დასრულებულად არ თვლიდა. ახლა მას ახალი გეგმის განხორციელება სწადდა:

**წყარო 9**

„... თავიდან მოეცილებინა ლაზთა მეფე გუბაზი და ლაზები იქიდან (ლაზიკიდან) სრულად გადაესახლებინა და ამრიგად, იმ ქვეყანაში ჩაესახლებინა სპარსელები და ზოგიერთი სხვა ტომიც“.

პროკოპი კესარიელი.

შაჰის ჩანაფიქრის გამჟღავნებამ, ბუნებრივია, შეცვალა გუბაზის დამოკიდებულება სპარსეთისადმი. ახლა ლაზიკა ბიზანტიელების მოკავშირედ გამოდის. ომი მთელი სისასტიკით განახლდა – „აქ რომაელებსა და სპარსელებს შორის გაიმართა ისეთი ბრძოლა და ვაჟკაცობის გამომჟღავნება, რომლის მსგავსსაც ამ ჩვენს დროში, ვფიქრობ, არ ჰქონია ადგილი“, – წერდა ბიზანტიელი ისტორიკოსი.



სურ. 2.2.6.3. ბრძოლის სცენა.

ომი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და საკმაოდ გაჭიანურდა. მეფე გუბაზი ბრალს სდებდა ბიზანტიელ სარდლებს – ისინი სწრაფ გამარჯვებაზე მეტად ხალხის ძარცვასა და პირად გამდიდრებაზე ზრუნავდნენ...

სტრატეგოსებმა, თავის დაცვის მიზნით, გუბაზს ლალატი დასწამეს, მოსალაპარაკებლად მდინარე ხობის ნაპირას მიიწვიეს და ვერაგულად მოკლეს.

**დავალება 4**

1. ტექსტისა და წყარო 5-ის, 6-ის, 7-ისა და 8-ის მიხედვით შეაფასე ლაზიკის პოლიტიკური მდგომარეობა და იმსჯელე მის საგარეო ორიენტაციაზე.
2. რით ახსნი სპარსეთის განზრახვას ლაზების სამშობლოდან გადასახლების შესახებ?
3. იოანე ციხეს მაგალითზე შექმენი მედროვე მოხელის, პოლიტიკოსის პორტრეტი.
4. აღწერილი მოვლენების მიხედვით განსაზღვრე ლაზთა სამხედრო ძალის მნიშვნელობა სპარსეთ-ბიზანტიას შორის ომიანობის პერიოდში.

**ეს საინტერესოა:**

გუბაზ მეფის მკვლელობამ ლაზთა აღშფოთება გამოიწვია. სახალხო კრებაზე გამოსულ ორატორთა შორის ისტორიამ ორი დარბაისელი ლაზის – აიეტისა და ფარტაძის მიერ წარმოთქმული სიტყვები შემოგვინახა.

აიეტის სიტყვა:

„გაქრა კოლხთა ძველი ღირსება და ამიერიდან ვეღარ ველირსებით იმას, რომ სხვებს ვმბრძანებლობდეთ. ისიც უნდა ვიკმაროთ, თუ მივალწიეთ იმას, რომ ძალიან არ დაგვჩაგრონ იმათ, ვინც წინათ ჩვენ ქვეშევრდომი იყო. ნუთუ უკიდურეს უგუნურებას არ წარმოადგენს ის, რომ იმათ შესახებ, ვინც ეს ჩაიდინა, ჩვენ ვზივართ და ვმსჯელობთ, მტრებად ჩავთვალთ ისინი თუ მეგობრებად? უნდა ვიცოდეთ, რომ მათი თავხედობა ამაზე არ შეჩერდება. თუ ჩვენ ამ ბოროტმოქმედებას უყურადღებოდ დავტოვებთ, ისინი არ მოგვეშვებიან და გულხელდაკრეფილი რომ ვისხდებით, უფრო შეუპოვრად აგვხდიან ნამუსს... მე ვინატრიდი კოლხეთის სამეფოს ჰქონდეს თავისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირდეს უცხო და გარეშე ძალის დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს. მაგრამ, როდესაც ჩვენ ჟამთა ტრიალის ან ბედის უკუღმართობის წყალობით ისეთს უძღურებაში ჩავარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ, უძვობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილისმსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებსა და მოკავშირეთა მიმართ“.

ფარტაძის სიტყვა:

„... ნუ აყვებით მსჯელობის დროს მოწოლილ ბოლმას და გულისტკივილს, რომ არ დაგვკარგოთ მოსაზრების უნარი და არ გავაბუნდოვანოთ ჩვენი მსჯავრი: შევიწინარჩუნოთ უნარი უკეთესის არჩევისა... ...აბა რას დაემსგავსება ჩვენი საქციელი, თუ მივემხრობით უზენაესი არსების სასტიკ მტრებს? თუ ისინი აგვიკრძალავენ ჩვენი საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადაგვიყვანენ... გუბაზი რომ აქ იყოს, მოგვიწოდებდა, არ მივცემოდით სასოწარკვეთილებასა და გულაჩუყებას, და მონების მსგავსად კი

არ გავქცეულიყავით, არამედ აღვჭურვილიყავით კოლხის თავისუფალი შვილებით, ვაჟკაცურად აგვეტანა უბედურება და არაფერი სასირცხვო და მამაპაპური წესების შემბლაღავი არ ჩავგვდინა... მე იმ აზრისა ვარ, რომ საჭიროა რომაელთა მეფეს ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმთა, ვისაც ამ მკვლელობაში მთავარი დანაშაული მიუძღვის, და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან, თუკი ის უარყოფს ჩვენს თხოვნას, მაშინ მოვითათბიროთ, მიზანშეწონილი იქნება თუ არა მეორე გზას დავადგეთ“.

### დავალება 3

1. რა არგუმენტებს იშველიებენ ორატორები საკუთარი პოზიციების გასამყარებლად?
2. შეაფასე წამოყენებული არგუმენტები და აღნიშნე, რომელი მათგანია შენთვის მისაღები.

იმპერატორმა, ლაზთა მოთხოვნით, საქმის გამოძიებისა და დამნაშავეთათვის სასჯელის დადების მიზნით ეგრისში ცნობილი მოსამართლე, ათანასე, მიავლინა. სასამართლო ციხე-გოჯში გაიმართა და გუბაზის მკვლელობაში ბრალდებული სტრატეგოსებისათვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით დასრულდა – მათ სიკვდილი მიესაჯათ.

იმპერატორი ლაზების მიერ წამოყენებულ სხვა მოთხოვნასაც აკმაყოფილებს – წათეს (გუბაზის მემკვიდრეს) კონსტანტინოპოლში მეფედ აკურთხებს და დიდი პატივით ისტუმრებს ეგრისში.

### კითხვა

შენი აზრით, რამ განაპირობა ბიზანტიის მხრიდან ეგრისელთა მოთხოვნის დაკმაყოფილება?

ეგრისისათვის გამართული ხანგრძლივი ბრძოლა (542–562 წწ.) სპარსეთის მარცხით დასრულდა.

### დამოუკიდებელი სამუშაო

1. შესწავლილი მასალის საფუძველზე იმსჯელე იმ მიზეზებზე, რომლებმაც ეგრისისათვის ბრძოლაში ბიზანტიის გამარჯვება განაპირობა.
2. შეაფასე ამ ომის შედეგები ლაზიკისათვის; დააჯგუფე დადებითი და უარყოფითი შედეგები.
3. რა ფაქტორები განსაზღვრავდა ლაზიკის პოლიტიკურ ორიენტაციას?

### განმარტებები

**ჰეგემონია** – ხელმძღვანელობა, ბატონობა.

## § 7. ქართლი VII საუკუნის I ნახევარში

VII საუკუნის დასაწყისში სპარსეთმა კვლავ შეძლო აღმოსავლეთ საქართველოს დამორჩილება.

### წყარო 1

„იქმნა შფოთი დიდი საბერძნეთს, რამეთუ მავრიკ კეისარსა განუდგა ფოკა (ერთ-ერთი მთავარსარდალი), და მოკლა მავრიკ კეისარი და შვილნი მისნი. და დაიპყრა საბერძნეთი. მაშინ სიძემან კეისრისამან, სპარსთა მეფემან ქარსემ იწყო ძებნა სისხლსა სიმამრისა და ცოლის ძმათა მისთასა, შესვლად და ტყვევნად საბერძნეთისა. განძლიერდა ბერძენთა ზედა, და ვერ წინააღუდგა ფოკა კეისარი. ხოლო სტეფანოზ, მთავარი ქართლისა შეუშინდა მეფესა სპარსთასა, განუდგა ბერძენთა და მიექცა სპარსთა“.

„ქართლის ცხოვრება“.

ბიზანტიაში ფოკას მმართველობა ხანმოკლე აღმოჩნდა. 610 წელს, მორიგი სამხედრო გადატრიალების შედეგად, იმპერატორის ტახტი ჰერაკლემ დაიკავა. თანამედროვენი მას ნიჭიერ, ენერგიულ მმართველად და სამხედრო საქმის უებრო მცოდნე მხედარმთავრად ახასიათებდნენ. ამ დროისათვის ბიზანტია სავალალო მდგომარეობაში იყო: ქვეყანაში ანარქია მძვინვარებდა, მოშლილი იყო ვაჭრობა და მეურნეობა, დაეცა ხელოსნობაც; არც საგარეო მდგომარეობა იყო სანუგეშო – სპარსეთმა იმპერიის



სურ. 2.2.7.1. მონეტა ჰერაკლეს გამოსახულებით.

აღმოსავლეთი პროვინციები საკუთარ მმართველობას დაუმორჩილა, რასაც თან ერთოდა სლავური წარმოშობის ტომების მასობრივი გადასახლება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

ჰერაკლე კეისარი მოწინააღმდეგეებთან ზავს აფორმებს. ომის შეწყვეტით მას საშუალება ეძლევა მოაგვაროს იმპერიის შიდა პრობლემები. იმპერატორი განსაკუთრებულ ძალისხმევას სახელმწიფოში წესრიგის აღდგენისა და ბრძოლისუნარიანი არმიის ჩამოყალიბებისკენ მიმართავს.

გაძლიერებული ბიზანტია სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლას აახლებს. მას საგარეო მოკავშირეც ჰყავს თურქული მოდემის ხაზარების სახით. ხაზართა ხაკანი (მმართველი) ჯიბლუ მრავალრიცხოვანი ჯარით მმართველობის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა.

**კითხვები**

1. შენი აზრით, რა გავლენა იქონია ქართლის პოლიტიკურ მდგომარეობაზე ბიზანტიაში შექმნილმა ვითარებამ?
2. შენი აზრით, რა განაპირობებდა თბილისის მოსახლეობის ანტიბიზანტიურ პოზიციას?

სურ. 2.2.7.2. ხაზართა ხაკანატი (სახელმწიფო).



თბილისი მოალყეებს გამაგრებული დახვდა. სპარსელებმა ქალაქში რჩეული მეციხოვნეები ჩააყენეს.

**წყარო 2**

„... გარემოცვის დაწყებადღე, დასახმარებლად და ქალაქის დასაცავად სწრაფად გაგზავნა (შაჰმა) მარჯვე და მამაცი მებრძოლი, თავისი მხედართმთავარი შაჰრაპალი. ასევე ათასამდე რჩეული მხედარი...“.  
მოვსეს კალანკატუაცი.

მეციხოვნეთა და მოქალაქეთა თავგანწირვით იმუამად მოხერხდა თბილისის დაცვა. ჰერაკლე და ჯიბლუ უკუქცევის წინ შეთანხმდნენ მომავალი წლისთვის (628 წ.) განეახლებინათ თბილისისათვის ბრძოლა.

**წყარო 3**

„ჩრდილოეთისა და დასავლეთის ჯარების უთვალავი სიმრავლე მთებზე შემოერტყნენ ქალაქს გარშემო. აგრეთვე მათ თან ჰქონდათ ოთხთვლიანი მანქანები და რომელსაც ოსტატთა ხელით გაკეთებული სხვა ნაირნაირი საშუალებანი, რომლებიდანაც ზუსტად ისროდნენ და უზარმაზარი ქვებით კედლებს ანგრევდნენ. ასევე ჰქონდათ ლოდებით გატენილი რუმბები, რითაც ქალაქის მხარეს მოძლინარე დიდ მტკვარს უკან აბრუნებდნენ და მიმართავდნენ კედლისაკენ...  
... როდესაც ქალაქის მცხოვრებლებმა მათი უკან დახევა გაიგეს, უფრო გაამაყდნენ... მოიტანეს ერთი უზარმაზარი გოგრა, ზედ დახატეს... ჰონთა (ხაზართა) მეფის სახე... აიღეს და დადგეს მათ მოპირდაპირე კედელზე. უყვიროდნენ მის ჯარს და ეუბნებოდნენ: აი თქვენი მეფე კეისარი, დაბრუნდით, თავყვანი ეცით მას, ეს ჯიბლუ ხაკანი... ასევე დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ მეორე მეფესაც (ჰერაკლეს)...“.  
მოვსეს კალანკატუაცი.

628 წელს ირანი ბიზანტიასთან ომში დამარცხდა და თბილისის მცველთა რიგებში სპარსი მეციხოვნეები აღარ ჩანან. ხაზარებმა და ბიზანტიელებმა კი, შეთანხმებისამებრ, ქალაქს კვლავ შემოარტყეს ალყა და, მოქალაქეთა მძაფრი წინააღმდეგობის მიუხედავად, მისი აღება შეძლეს.

**წყარო 4**

„სიმხნევე დაკარგულნი იმალებოდნენ, ზოგი სახლის სახურავებზე, ზოგი წყალსადენ მილებში, ბევრიც წმინდა ეკლესიის თაღებში... შეპყრობილი იქნა თბილისის ციხისთავიც, რომელსაც ტყავი გაადრეს... გაავსეს თივით და გალავნის ზემოთ ჩამოკიდეს...“.  
მოვსეს კალანკატუაცი.

„ხაზარებმა ხელი გააწვდინეს ნაძარცვ განძეულობათა სკივრებისაკენ, რომლებიც მრავალრიცხოვან მძიმედ დატვირთულ ჯარს მიჰქონდა და ალაგებდა თავისი მბრძანებლის წინაშე გროვებად და ზვინებად... დამქანცველი გახდა უთვალავი ოქროსა და ვერცხლის ტალანტების (ფულის) ყურება. ხოლო ვის შეუძლია ზედმიწევნით აღწეროს მარგალიტებით მოოჭვრილი საეკლესიო ჭურჭელი...“.

მოვსეს კალანკატუაცი.



სურ. 2.2.7.4. ხაზარი მემომარი.

### დავალება 1

1. განსაზღვრე ქართლში ბიზანტიის ლაშქრობის მიზანი.
2. განსაზღვრე ქართლში ხაზართა ლაშქრობის მიზანი.
3. რით დასტურდება სომეხი ისტორიკოსის მოვსეს კალანკატუელის ცნობა, რომ თბილისი იყო „... ნებიერი სავაჭრო და სახელოვანი დიდი ქალაქი“?

თბილისის დაუფლებით ბიზანტია აღმოსავლეთ საქართველოს კვლავ თავის გავლენას უქვემდებარებს. ქართლსა და ბიზანტიას შორის პოლიტიკური კავშირის განმტკიცების მიზნით კეისარი მკაცრად უსწორდება პროირანულ ძალებს, განსაკუთრებულ ყურადღებას კი საეკლესიო საქმეების მოგვარებას უთმობს.

### წყარო 5

„ჰერაკლემ ტფილისს და მცხეთას და უჯარმას განავლინა ქადაგნი, რათა ყოველნი ქრისტიანნი ეკლესიათა შინა შეიკრიბენ და ყოველნი მოგვნი და ცეცხლისა მსახურნი ან მოინათლნენ ან მოისრნენ...“.

„მოქცევაი ქართლისაი“.

### კითხვა

როგორ ფიქრობ, რატომ გაუსწორდა ჰერაკლე კეისარი განსაკუთრებული სისასტიკით მოგვებსა და ცეცხლთაყვანისმცემლებს? დაასაბუთე შენი პოზიცია.

### დამოუკიდებელი სამუშაო

1. აღწერე თბილისზე ბიზანტიელთა და ხაზართა ლაშქრობის შედეგები.
2. იმსჯელე იმ შედეგებზე, რასაც ირან-ბიზანტიის ხანგრძლივი დაპირისპირება მოუტანდა ამ სახელმწიფოებს.

## § 8. საქართველოს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა

ტერმინი „ფეოდალიზმი“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „ფეოდი“, რაც ნიშნავს მიწის ნაკვეთს, ადგილ-მამულს, რომელთაც მეფეები თავიანთ მეომრებს გაწეული სამხედრო სამსახურისთვის გადასცემდნენ. ამდენად, ფეოდალი მიწის მფლობელს აღნიშნავს. საქართველოში ფეოდს – მიწის ნაკვეთს მამული, ხოლო ფეოდალს – მემამულე შეესატყვისება.

ფეოდალური საზოგადოება უპირველესად სამხედრო სამსახურის პრინციპზე იყო აგებული, ამიტომ მისი ძირითადი საქმიანობა ბრძოლა იყო.

მცირე მამულის მქონენი მფარველობის პირობით დიდ ფეოდალთა დაქვემდებარებაში შედიოდნენ და მათი ვასალები ხდებოდნენ. ასეთ მფარველს ევროპაში „სიუზერენს“ უწოდებდნენ, ქართულად კი მას „ბატონი“ შეესატყვისება. ადრეულ პერიოდში ბატონ-სიუზერენს „უფალს“ ან „პატრონს“ უწოდებდნენ.

IV-V საუკუნეებში წარმოქმნილი ახალი ფეოდალური ურთიერთობების შესახებ თანამედროვე ქართული წყარო არ მოიპოვება. საინტერესოა შედარებით მოგვიანო პერიოდის ძეგლი, ქსნის საერისთავოს საგვარეულო მატთანე – „ძეგლი ერისთავთა“, რომელიც საყურადღებო მასალას შეიცავს ახალი ფეოდალური ურთიერთობების წარმოშობის შესახებ. ისტორიკოსების აზრით, ეს ძეგლი ადრეულ ეპოქებში მიმდინარე პროცესებს ასახავს:

**წყარო 1**

„პოლიტიკური უბედობის მიზეზით სამშობლოდან გადმოხვეწილი, ცხრაზმის ხევში მოდის როსტომ ბიბილური, თავისი ორი ძმით, შვილებით და სამოცდაათი „კეთილი“ (კარგი, რჩეული) მონით. ცხრაზმის ხევებზე ამ დროს სამხედრო გასაჭირი ადგას. მოსულნი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, როსტომ, ჩინებული მეომრები არიან. როსტომ და მისი მხლებლები დაუფასებელ სამხედრო სამსახურს უწევენ თავიანთ მასპინძლებს. ამიტომ ეს უკანასკნელი გადაწყვეტენ, ამიერიდან „ეს გოლიათი კაცი“ თავიდან აღარ მოიშორონ... როსტომი უკავშირდება ცხრაზმის ერთ-ერთ მთავარი პუნქტის მამასახლისს გუგაკ ხუციანდაბისძეს... იგი მეფის მოხელეა, მისი „პატივი და ხელი (თანამდებობა) მეფეთაგან არის მოცემული“. როსტომი მოითხოვს გუგაკისაგან, რომ იგი... საქმით და სიტყვით ეხმარებოდეს მას. სანაცვლოდ როსტომი ჰპირდება ლავკრისის მამასახლისს მისი „პატივი და ხელი, რომელ მეფეთაგან მოცემულ არს“ (მამასახლისობა) სამუდამოდ შეუნარჩუნოს მის შთამომავლობას. გუგაკ სავსებით კმაყოფილია იმ პირობისა...“.

ს. ჯანაშია.

**დავალბა 1**

გაანალიზე გუგაკ ხუციანდაბისძისა და როსტომ ბიბილურის შეთანხმება და განსაზღვრე მათ შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის სახე.

საზოგადოების სოციალური წყობა თანდათან იცვლება. თავისუფალი და თანაბარუფლებიანი მიწათმოქმედები, რომლებსაც “ერი” ეწოდებოდა, კარგავენ პირვანდელ მდგომარეობას. სოფლად თემის დაშლამ და მიწების წარჩინებულთა ხელში გადასვლამ მნიშვნელოვნად შეზღუდა “ერის” თავისუფლება. ეს პროცესი სახელმწიფოს პოლიტიკურ მოწყობაშიც აისახა – უფლებაზეზღუდული “ერი” სრულად იქნა ჩამოცილებული ქვეყნის მართვის საქმეს. ცვლილებები შეეხო ჯარსაც. თუ ადრე ჯარის ძირითად ბირთვს თავისუფალი მიწათმოქმედები შეადგენდნენ, ახლა ისინი, მათი სოციალური ფუნქციის დაკნინების გამო, წყდებიან სამხედრო სამსახურს. მხედრობა ერთგვარ პრივილეგიად იქცა და ის წარჩინებულთა ხვედრი შეიქნა. რიცხობრივად შემცირებული ჯარის რიგებს კი ხელისუფლება, ძირითადად, ჩრდილოკავკასიელი მეომრების დაქირავებით ავსებდა.

**დავალბა 2**

შეაფასე აღწერილი პროცესი. იმსჯელე საზოგადოებაში ფუნქციათა გამიჯვნის აკარგვიანობაზე.

**წყარო 2**

„სიტყვა გლახა, გლახაკი მაშინ ნიშნავდა ყოვლად საწყალ ადამიანს, არაფრის მქონეს. მსხვილი მიწისმფლობელები ღებულობდნენ თავისი მფარველობის ქვეშ ასეთ „გლახებს“. „გლახა“ მიწის მფლობელს მონად, რასაკვირველია, არ დაუდებოდა, რადგან ის თავისუფალი პირი იყო. მაგრამ ამ გლახას არ ჰქონდა შესაძლებლობა მეურნეობა მოეწყო ან თუ ასეთი შესაძლებლობა ჰქონდა, ისიც ძლიერ ცოტა. ამიტომ მიწათმფლობელი თვითონ ეხმარებოდა და ხელს უწყობდა გლახას მეურნეობის მოწყობაში, სახელდობრ აძლევდა მას მიწას, ეხმარებოდა ქონის და სხვა დამხმარე შენობათა აშენებაში და სხვ. სამაგიეროდ გლახა ასრულებდა გარკვეულ ვალდებულებას მიწის მესაჯდომის წინაშე – აძლევდა მას მიწის მოსავლის გარკვეულ ნაწილს და მცირედ ემსახურებოდა მას. ასეთი არაფრის მქონე პირი, განსაზღვრული პირობებით სხვის მიწაზე დამდგარი, იწოდებოდა უკვე გლეხად (სიტყვა გლეხი არსებითად იგივეა, რაც გლახა...) გლეხი არ შეადგენდა თვითონ პირადად მფლობელის საკუთრებას“.

ს. კაკაბაძე.

საზოგადოების უმაღლეს ფენას წარჩინებულები ქმნიან, მათგან გამოიყოფიან „სეფეწულები“ (სამეფო გვარის წევრები), – ისინი მთავრებად იწოდებიან. საკუთრივ მთავრების რიგებიდან ინიშნებიან ერისთავები, რომლებიც გარკვეულ ტერიტორიასა და მასზე მოსახლე „ერს“ განაგებენ და მხედართმთავრები არიან.

მიწისმფლობელთა (ფეოდალთა) ფენის ზოგადი სახელწოდებაა “აზნაური”. შესაბამისად, ფეოდალის სიძლიერე მის მფლობელობაში არსებული მიწისა და ყმის რაოდენობით განისაზღვრება – იყვნენ „აზნაურნი დიდ-დიდი“ და „აზნაურნი წურილნი“.

ერისთავები და სხვა რიგის მოხელეები მეფისაგან სამსახურის სანაცვლოდ მიწას იღებდნენ. ამ შემთხვევაში დიდაზნაურთა ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერე მეფის წყალობასა და ამ წყალობის ხანგრძლივობაზე იყო დამოკიდებული და არ იყო შემკვიდრებითი, მუდმივი.

სახელმწიფოს დიდმოხელენი ცდილობდნენ დაერღვიათ ეს ტრადიცია და ნაწყალობევი მიწები

სამუდამოდ დაეჩემებინათ. უმეტეს შემთხვევაში, მეფის ხელისუფლების სისუსტითა თუ გარე ძალის დახმარებით, აღწევდნენ კიდევ საწადელს.

ეს განსაკუთრებით აძლიერებდა ერისთავთა პოზიციებს – თუ აქამდე მათი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური (ადმინისტრაციულთან ერთად) სტატუსი მეფეზე იყო დამოკიდებული. ახლა, მიწის დაჩემების შემდეგ, მთავრებსა და ერისთავებს სამეფო ხელისუფლებასთან ფორმალური ქვეშევრდომობა აკავშირებდათ.

**წყარო 3**

„ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალეს (მეფეებმა) საერისთავოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკვიდრობისათვის საერისთავოთა მათთა“.

„ქართლის ცხოვრება“.

**კითხვები**

1. გაიხსენე მონის უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობა და შეადარე გლეხისას.
2. რა განსხვავებას ხედავ თავისუფალ მეთემესა და გლეხს შორის?
3. რა ფაქტორები განაპირობებდნენ დიდაზნაურთა შეუვალობას?

**ეს საინტერესოა:**

სახელმწიფო დაყოფილი იყო საერისთავოებად, რომელთა სათავეშიც იდგნენ ერისთავები. ადგილობრივი ერისთავი ხშირად მეუფე-მეფედაც იწოდებოდა. „იყო, მაგალითად, ერისთავი სამცხის, ერისთავი კახეთის, ერისთავი კუხეთის (კუხეთად იწოდებოდა ესლანდელი გარე-კახეთი, ე.ი. საგარეჯოს და რუსთავის მხარე) და სხვანი. შიდა ქართლის (მცხეთიდან სურამამდე) ერისთავი ითვლებოდა სპასპეტად და ის იყო სხვა ერისთავების უფროსი. ერისთავების ხელქვეითნი იყვნენ მომცრო მხარეების მეთაურნი...“

ს. კაკაბაძე.

„მეუფის (მეფის) უფლება ქართლის სახელმწიფოში შეზღუდული იყო რჩევის (სათათბირო) მიერ. რჩევას ქართლის სამეფოში შეადგენდნენ ქართლის მთავარეპისკოპოსი... და სპასპეტი (შიდა ქართლის ერისთავი და ჯარების უფროსი)... შემდეგ რჩევის წევრებად ითვლებოდნენ ერისთავები (ვალკე მოზრდილ მხარეთა მმართველნი), რომელნიც სხდებოდნენ ხელის სკამებზე. ხევეების მეთაურთაც (მამასახლისებს ან ასისტავებს) ჰქონდათ რჩევაში მონაწილეობის მიღების უფლება. მაგრამ სხდომის დროს ვერ დასხდებოდნენ და ფეხზე უნდა მდგარიყვნენ... რჩევა ჩულებრივ იკრიბებოდა მხოლოდ მნიშვნელოვანი საკითხებისათვის“.

ს. კაკაბაძე.

**დამოუკიდებელი სამუშაო 1**

1. შესწავლილი მასალის საფუძველზე ისაუბრე IV-VI სს-ის საზოგადოების სოციალურ აგებულებაზე და შექმენი სოციალური ფენების იერარქიული კიბე.

საზოგადოების სოციალური განვითარების საფუძველია ეკონომიკისა და სამეურნეო საქმიანობის დაწინაურება. მიუხედავად იმ პოლიტიკური ვითარებისა, რომლის გამოც საქართველო აქტიურად იყო ჩაბმული საომარ მოქმედებებში, რაც სამეურნეო ნგრევას იწვევდა, მაინც თვალშისაცემია ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა.

**წყარო 4**

„ვითარდება მიწათმოქმედება მემინდვრობის მიმართულებით... ვრცელდება პურეული კულტურები, ზოგიერთ რაიონებისათვის განსაკუთრებულ გავრცელებას პოულობს მესაქონლეობა, სოფლის მეურნეობაში კიდევ უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ეთამაშა მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებას... ღვინო გაცვლა-გამოცვლის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქონელთაგანი იყო... ღვინის მუშტარ ტომებს სამხრეთიდან საქართველო ეკრა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია მივიღოთ რომ მათ ღვინო ქართველ (კერძოდ – იბერიის) ტომთაგანაც შეეძლოთ შეეძინათ. იბერიასთან სარმატიას (სახელმწიფო ჩრდილოეთ კავკასიაში) ისეთი ჩინებული გზა აკავშირებდა, როგორცაა დარიალის ხეობა. მამასადამე იბერიისთვისაც ამ დროს უკვე მეღვინეობას სამრეწველო მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, შესაბამისად, თვით კულტურაც შედარებით მაღალი უნდა იყოს...“.

ს. ჯანაშია.



სურ. 2.2.8.1. მარანი

**წყარო 5**

„ეკონომიურად ქართული ქვეყნების წამყვანი ნაწილები (უფრო მდ. რიონის დაბლობში, მდ. მტკვრის გაყოლებით, შავი ზღვის სანაპირო მხარეებშიც) იყვნენ საკმაოდ დაწინაურებულნი. მიწათ-მოქმედება საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა და აღმ. საქართველოში ხალხი ბარადგილებში გადასული იყო ბორბლიანი სახენელის ხმარებაზე, რაც მიწის უფრო ღრმად მოხვნის საშუალებას იძლეოდა. ეს საჭირო იყო მოსავლის გასაღიდეზღად. აღმ. საქართველოში მოჰყავდათ მეტწილად პური. რაც შეეხება დას. საქართველოს იქ ასეთი სახენელი არ იყო საჭირო, რადგან ნიადაგი იქ ჰავის სინოტივისა და წვიმის სიხშირის გამო, არ მოითხოვდა მიწის ღრმად მოხვნას.



სურ. 2.2.8.2. შრომის იარაღები.

განვითარებული იყო ხელოსნობაც. ფერადი ქსოვილები, აგრეთვე ოქრომჭედლური ხელოსნობის და მეტყავეობის პროდუქცია... საქართველოში იმდენად კარგი ხარისხის იყო, რომ სხვა ქვეყნებში გასატან საექსპორტო ობიექტს შეადგენდა“.

ს. კაკაბაძე.

**წყარო 6**

„VI საუკუნეში ქართლის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგები, მეხორბლეობა და მევენახეობა აღმავლობას განიცდის. ფრიად განვითარებულია მესაქონლეობაც, კერძოდ, მეცხვარეობა, რაზედაც ურბნისის ნაქალაქარიდან მოპოვებული ძვლოვანი მასალა მეტყველებს. ბუნებრივია ხელოსნობის განვითარებაც სათანადო დონეზე იდგა. წყაროები მიუთითებენ, მაგალითად, „მეხამლეთა“ (ხარაზთა)



და მეჯადაგეთა (დაბალთა)

კორპორაციების არსებობას, არქეოლოგიური მასალა ოქრომჭედლობის განვითარებას მოწმობს და სხვ. ყოველივე ამის შედეგად უნდა გაცხოველებულიყო ადემიციემობაც და სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობანი არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ გარე სამყაროსთანაც“.

დ. მუსხელიშვილი.



**დავლება 3**

1. შენი აზრით, აისახებოდა თუ არა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება სოციალურ ურთიერთობებზე?
2. დაახსიათე საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა მისი მეურნეობის დარგების განვითარების მიხედვით.

**დამოუკიდებელი სამუშაო 2**

წარმოიდგინე, რომ რომელიმე სოციალური ფენის წარმომადგენლი ხარ; აღწერე შენი ცხოვრება, ყოფა, ისაუბრე სხვა ფენის წარმომადგენლებთან ურთიერთობის პრობლემებზე და მათი მოგვარების გზებზე.

**§ 9. კულტურა**

IV-VI საუკუნეები ქართული კულტურის აღმავლობის ხანაა, რაც მნიშვნელოვანწილად ქრისტიანობის დამკვიდრებამ განაპირობა. ახალმა რელიგიამ ხალხის კულტურული საქმიანობის ყოველ სფეროზე იქონია გავლენა.

ქრისტიანობის გავრცელების საწყის ეტაპზე, ძირითადად აგიოგრაფიული (ბერძნულად hagios წმინდანს ნიშნავს) ნაწარმოებები იქმნებოდა. აგიოგრაფიული მწერლობა, როგორც წესი, საეკლესიო-რელიგიური ხასიათისაა და მასში აღწერილია სარწმუნოებისათვის წამებული ქრისტიანებისა ან ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პირების ცხოვრება. ამდენად, აგიოგრაფიული მწერლობა ორი სახისაა – „მარტვილობანი“ (წამება) და „ცხოვრებანი“.



წმინდანთა ცხოვრების აღწერისას აგიოგრაფი ავტორები საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების შესახებაც.

### კითხვები

1. შენი აზრით, რატომ იწერებოდა ქრისტიანობის გავრცელების საწყის ეტაპზე მეტწილად „მარტვილობათა“ ჟანრის ნაწარმოებები?
2. როგორ ფიქრობ, შეუძლიათ თუ არა აგიოგრაფიულ ნაწარმოებებს ისტორიული წყაროების მონაცემების შევსება? განვლილი მასალიდან ხომ ვერ გაიხსენებ ასეთ შემთხვევას?

ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშთაგან ქართული მწერლობის უძველესი ძეგლია იაკობ ხუცესის „წამება წმინდისა შუშანიკისა დედოფლისა“. ლიტერატურათმცოდნეები ამ ნაწარმოებს მაღალ შეფასებას აძლევენ და მიუთითებენ ნაწარმოების „აზრობრივ სიღრმეზე“, „თხრობის დიდოსტატობასა“ და „სტილისტურ დახვეწილობაზე“. მკვლევართა აზრით, ეს ნაწარმოები იმდენად დახვეწილი ლიტერატურული ქმნილებაა, რომ – „ქართული მწერლობა გაცილებით ადრეა საგულისხმებელი და მას განვითარების ვრცელი გზა აქვს გავლილი... ერთი რამ მაინც ნათელია: „შუშანიკის წამების“ შექმნამდე ქართულ ენაზე ითარგმნა ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმის უმთავრესი წიგნები, ხოლო ამ წიგნების მხატვრული სიმდიდრე და დახვეწილი სტილი ქმნიდა გარკვეულ ტრადიციას“ (ა.კ. სურგულაძე).

ამ პერიოდის ლიტერატურული ძეგლებია ასევე: „მარტვილობაი და მოთმინებაი წმინდისა ევსტატი მცხეთელისა“ და „წამებაი ცხრა ყრმათა კოლაელთა“.

### კითხვები

1. რა არგუმენტებს იშველიებენ მკვლევარები ქართული მწერლობის სიძველის დასადასტურებლად?
2. როგორ ფიქრობ, ანტიკური ხანის კულტურული ტრადიციები იქონიებდა თუ არა გავლენას ქართული მწერლობის განვითარებაზე? დაასაბუთე შენი მოსაზრება.

როგორც ვიცით, საქართველოში ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში არსებობდა ფაზისის ფილოსოფიური სასწავლებელი, სადაც განათლება არაერთმა ცნობილმა მოაზროვნემ მიიღო. ამავე პერიოდში მოღვაწეობდა ქართველი ფილოსოფოსი ბაკური (გაიხსენე ცნობები მის შესახებ).

V საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსია პეტრე იბერი. ის ქართლის მეფის ბუზმინდის შვილი იყო. განათლება პეტრე იბერმა კონსტანტინოპოლში მიიღო, შემდეგ კი მოღვაწეობა სირიაში განაგრძო და მალევე გაითქვა სახელი, როგორც ღრმად განსწავლულმა ღვთისმეტყველმა.

პეტრე იბერის მოძღვრების მთავარი იდეა ის არის, რომ ანტიკური სიბრძნე – პლატონის, არისტოტელესა და სხვა ფილოსოფოსების ნაზრევი, ახალი ქრისტიანული მოძღვრების გავრცელების პროცესში არ დაკარგულიყო. მან წარმატებით განახორციელა ეს იდეა – ორგანულად შეუხამა ერთმანეთს ანტიკური ფილოსოფია და ქრისტიანული მოძღვრება.

პეტრე იბერის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური შრომები უდიდეს გავლენას ახდენდა მთელ ქრისტიანულ აზროვნებაზე. ეს გავლენა მომდევნო პერიოდებშიც თვალსაჩინო იყო არა მხოლოდ აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროზე, არამედ დასავლეთ ევროპაშიაც. დიდი ხნის განმავლობაში პეტრე იბერის ნაშრომებს მეცნიერები დიონისე არეოპაგელს მიაწერდნენ. ბოლო დროის გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ფსევდო დიონისე არეოპაგელი V საუკუნის ქართველი უფლისწულისა და ფილოსოფოსის, პეტრე იბერის ფსევდონიმია. ეს დასკვნა, ჩატარებული კვლევების საფუძველზე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად XX საუკუნის ცნობილმა ფილოსოფოსებმა შალვა ნუცუბიძემ და ბელგეილმა ე. ჰონიგმანმა გამოიტანეს.

### კითხვები

1. შენი აზრით, რატომ იქმნებოდა ქრისტიანობის გავრცელების პროცესში ანტიკური სიბრძნის დაკარგვა-დავიწყების საშიშროება?
2. შენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანულ მოძღვრებასთან ანტიკური სიბრძნის მისადაგებას?

ქრისტიანობის მიღება აუცილებელს ხდიდა ახალი სამლოცველოების – ეკლესიების მშენებლობას. ეკლესიებისა და წარმართული სალოცავების არქიტექტურა ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო.

თავდაპირველად აგებდნენ ბაზილიკებს. ბაზილიკური სტილი მთელს ქრისტიანულ სამყაროში ბიზანტიიდან გავრცელდა. ცხადია, ქართული ბაზილიკაც საფუძველს ბიზანტიურიდან იღებს, თუმცა მის ზუსტ ასლს როდი წარმოადგენს.

**წყარო 1**

„საქართველოში შემუშავდა ბაზილიკის სპეციალური ტიპი... სამეკლესიანი ბაზილიკა. მისი თავისებურება ისაა, რომ გარედან ჩვეულებრივი ბაზილიკის ფორმა აქვს, მაგრამ შიგნით ნაგები ბოძებით კი არ არის გამოყოფილი ერთმანეთისაგან, არამედ კედლებით და აქ იქმნება სამი დამოუკიდებელი სამლოცველო და არა ნაგები“.

გ. ლორთქიფანიძე, ნ. ჩიქოვანი.



სურ. 2.2.9.1. ანისსატი



სურ. 2.2.9.2. შიო-მღვიმე

სამშენებლო ხელოვნების განვითარების კვალ-დაკვალ, VI საუკუნიდან, ბაზილიკური სტილი ადგილს უთმობს უფრო რთული კონსტრუქციის გუმბათოვან ნაგებობებს. რომლის ცენტრალური კვადრატი და მკლავები ჯვრის ფორმას ქმნიდნენ, ამას თან ერთოდა სფერული გუმბათი.



სურ. 2.2.9.3. ჯვრის მონასტერი.

**დავლება 1**

ილუსტრაციების მიხედვით ბაზილიკური და ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრები განათავსე კონტურულ რუკაზე.

VI საუკუნე საქართველოში „ასურელი მამები“ შემოსვლითაც არის აღსანიშნავი. მათი მოღვაწეობის სფერო ფართოა: ქრისტიანობის ქადაგებით ჯერ კიდევ ახალი სარწმუნოებისათვის პოზიციის განმტკიცება, საეკლესიო სწავლების გავრცელება, ეკლესია-მონასტრების დაარსება და მონასტრული (ბერ-მონაზვნური) ცხოვრების დამკვიდრება.



სურ. 2.2.9.4. დავით გარეჯელი

**წყარო 1**

„... საქართველოში მათი მოსვლის მოთავე და ხელმძღვანელი იოანე ზედაზნელი ყოფილა. პირველად VI ს. პირველ ნახევარში ანტიოქიიდან დავით გარეჯელი მოსულა, VI ს. შუა ხანებში – იოანე ზედაზნელი მოწაფეთა თანხლებით, ბოლოს კი, 70-იან წლებში – აბიბოს ნეკრესელი. შიო მღვიმელის, იოსებ ალავერდელის, ისე წილკნელის, ზენონ იყალთოელის, სტეფანე ქიზიყელის ანუ ხირსელის მიერ დაარსებულმა მონასტრებმა დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში“.

გ. ლორთქიფანიძე, ნ. ჩიქოვანი



სურ. 2.2.9.5. შიო მღვიმელი

**დავლება 2**

1. ასურელ მამათა სახელების მიხედვით გარაკვიე, რომელი ეკლესია-მონასტრები დაუარსებათ მათ.
2. განვლილი გაკვეთილებიდან გაიხსენე, კიდევ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ქართველი ისტორიკოსები ასურელ მამათა საქართველოში მოღვაწეობას?

სამეფო და საეკლესიო ხელისუფლება მონასტრებს ქვეყნის გარეთაც აგებდა. ეგვიპტეში, სირიაში, პალესტინასა და ბიზანტიაში დაარსებული ეკლესიები ქრისტიანული აღმსარებლობის მძლავრ კერებთან ერთად, მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ცენტრებადაც იქცნენ. აქ ხდებოდა იმ დროის რელიგიური და ფილოსოფიური ლიტერატურის შექმნაც და უცხოური წერილობითი ძეგლების ქართულად თარგმნა.

## წყარო 2

„სირია-პალესტინაში ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ლტოლვას ბიძგს აძლევდა, ერთი მხრივ, ქართული ეკლესიის იერუსალიმური წარმომავლობა, მეორე მხრივ, მორწმუნეთა შორის იმ დროისათვის ფართოდ გავრცელებული ბერმონაზვნური ცხოვრების წესი; აგრეთვე ის, რომ სწორედ ეს მხარე წარმოადგენდა მძლავრ ცენტრს ქრისტიანული მწერლობისა. აქ, იერუსალიმში, საბაწმინდაში, სინაზე, შავ მთასა და ანტიოქიაში პირველი ქრისტიანი მწიგნობარნი ქმნიდნენ სხვადასხვა ჟანრის მდიდარ ლიტერატურას... ბუნებრივია, ქრისტიანობის ამ პირველ სამშობლოში ჩასვლა და მოღვაწეობა ყველა ქართველი სასულიერო პირის მთავარი მისწრაფება უნდა ყოფილიყო“.

აკ. სურგულაძე.

## წყარო 3



სურ. 2.2.9.7. საბაწმინდის ლავრა.

„საბას ლავრასთან (პალესტინა) დაკავშირებულია მრავალი ქართული ხელნაწერი. მაგრამ მეცნიერები განსაკუთრებულ მნიშვნელობას მათ შორის მაინც 864 წლის ”მრავალთავს“ ანიჭებენ... სადაც წარმოდგენილია 18 ავტორის 50 თხზულება. რომელთაგან ბევრი აღიარებულია ქართული მხატვრული პროზის შედეგად. საბაწმინდას უკავშირდება მოღვაწეობა იოანე-ზოსიმესი, რომლის კალამს ეკუთვნის ორიგინალური ნაშრომები და დიდძალი ნათარგმნი ლიტერატურა. მაგრამ ყველაზე ძვირფასი, რაც იოანე-ზოსიმესს სახელს უკავშირდება, მაინც არის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომელიც მხატვრულ სიღრმესთან ერთად, ...პირველ მიმანიშნებელ მაგალითს წარმოადგენს ქართველ მოღვაწეთა მისწრაფებისა, რათა ქართული ენა, კულტურა ბერძნულს გაუტოლონ და მასზე მაღლა დააყენონ“.

აკ. სურგულაძე.

## დავალება 3

1. შენი აზრით, რა პრინციპით ხდებოდა უცხოეთში ქართული ტაძრების აგებისთვის ტერიტორიების შერჩევა?
2. წყარო 2-სა და 3-ში დასახელებული ქართული კულტურის ძეგლები განათავსე შესაბამის კონტურულ რუკაზე.
3. განსაზღვრე უცხოეთში დაარსებული სამონასტრო კერების მნიშვნელობა ქართული კულტურის განვითარების საქმეში.

## დამოუკიდებელი სამუშაო

შესწავლილი მასალის საფუძველზე იმსჯელე იმ ფაქტორების შესახებ, რომელთაც ხელი შეუწვევს ქართული კულტურის განვითარებას მოცემულ პერიოდში.

### III თემა. არაბული ცივილიზაცია და საქართველო


#### § 1. არაბული სამყარო

##### ა) არაბების შესახებ

VII საუკუნის 30-იანი წლებიდან მსოფლიოს ისტორიულ ასპარეზზე არაბები გამოჩნდნენ. ამ პროცესის საწინდარი კი ალაჰის (არაბულად ღმერთი) მოციქულის, მუჰამედის მოღვაწეობა და ახალი მონოთეისტური რელიგიის – ისლამის შექმნა (610-632 წწ.) იყო.



სურ. 2.3.1.1. არაბი ბელუინები



სურ. 2.3.1.2. არაბული სამყარო.

#### წყარო 1

„ფიქრობენ, რომ თავდაპირველად, ტერმინი „არაბ“... არ იყო რომელიმე კონკრეტული ხალხის ეთნიკური სახელწოდება. ის გაჩნდა, როგორც უდაბური, მშრალი, დაუსახლებელი ტერიტორიებისა და მათი მცხოვრებლების აღმნიშვნელი საზოგადო სახელი. ამ სიტყვის ხანგრძლივი გამოყენებისა და მნიშვნელობის გაფართოების პროცესში გაჩნდა ტერმინები „არაბები“, „არაბეთი“

და „არაბული ენა“. საბოლოოდ სიტყვა „ალ-არაბ“, „არაბები“ გახდა ეთნონიმი და დიდი ხალხის სახელწოდება, რაც დაუკავშირდა VII საუკუნის პირველ ნახევარში ისლამის დროში მუსლიმურ სახელმწიფოში არაბული ტომების ერთ ხალხად კონსოლიდაციას და დიდ საგარეო ექსპანსიას.”

გ. ჯაფარიძე.

ენა, რომელზეც არაბები მეტყველებენ, მიეკუთვნება სემიტურ-ქამიტურ ენათა ჯგუფს. არაბული დამწერლობა კი წარმოადგენს არამეული დამწერლობის განვითარებას. მასში 28 თანხმოვანი, სამი გრძელი და სამი მოკლე ხმოვანია. წერა ხდება მარჯვნიდან მარცხნივ. კლასიკური არაბულის ლექსიკონი სიტყვების განუსაზღვრელ რაოდენობას შეიცავს. ზოგიერთი ცნების გამოსახატავად ასობით და მეტი სინონიმი არსებობს. არაბულ ენაში უცხო ენებიდან ძალიან მცირე რაოდენობის სიტყვებია შეთვისებული.



სურ. 2.3.1.3. ფრაგმენტი ყურანიდან

არაბული დამწერლობის უძველესი ძეგლებია 328 წლის ალ-ნამრას, 512 წლის ზაბადისა და 568 წლის ჰარანის წარწერები.

#### კითხვები

1. როგორ ფიქრობ, რამდენად შეუწყო ხელი ისლამური რელიგიის გავრცელებამ არაბი ხალხის გაერთიანებას?
2. როგორ ფიქრობ, რომელ ენებს შეიძლება უწოდონ თეოლოგებმა „სადვთო ენები“ და რატომ?

##### ბ) მოციქული მუჰამედი

მაჰმადი, იგივე მუჰამედი (მუჰამმად იბნ აბდ ალლაჰ), მუსლიმთა რწმენით ალაჰის მოციქული („რასულ ალლაჰ“) და წინასწარმეტყველი („ნაბი“), „წინასწარმეტყველთა ბეჭედი“ („ხათამ ან ნაბიიმ“), დაიბადა ქალაქ მექაში დაახ-

ლოებით 570 წელს. ის წარმომავლობით კურაშაის ტომიდან, ღარიბი ვაჭრის ოჯახიდან იყო. ბავშვობაში დაობლებულ მუჰამედს ჯერ ბაბუა, შემდეგ კი ბიძა – აბუ-ტალიბი, უწევდა მეურვეობას. ჯერ კიდევ ბავშვობაში (9 – 12 წლის ასაკში) მუჰამედი ბიძამისის სავაჭრო ქარავანს გაჰყვა სირიაში. გადმოცემის თანახმად, ქალაქ ბასრაში, ქრისტიანმა ბერმა ბაჰირამ მასში ამოიცნო წინასწარმეტყველი. ყმაწვილობაში მუჰამედი მეხრედ, აქლემების გამრეკად მუშაობდა. იგი თან დაჰყვებოდა სავაჭრო ქარავნებს და მოგზაურობდა თავის სამშობლოსა და უცხო ქვეყნებში.



სურ. 2.3.1.4. მუჰამედი მიფრინავს იესო საფლავის მოსანახულებლად.

25 წლის მუჰამედმა მდიდარ ქვრივზე, ხადიჯაზე იქორწინა, მისგან ორი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი შეეძინა. ამ ქორწინებამ მატერიალურად უზრუნველყო მუჰამედი, ის აღარ ზრუნავდა ყოველდღიურ სარჩოზე და რელიგიურ-ფილოსოფიური ძიებებით იყო დაკავებული. გადმოცემით, იგი ბევრს ესაუბრებოდა ქრისტიანებსა და იუდეველებს, აღრმავებდა თავის თეოლოგიურ ცოდნას, რის საფუძველზეც მან ჩამოაყალიბა ახალი სარწმუნოება – ისლამი.


მუჰამედის სურვილი იყო შეექმნა ერთიანი არაბული რელიგიური ნიშნით გაერთიანებული სამხედრო ძალა, რომელიც სახელმწიფოს ძლიერების გარანტიად იქცეოდა. ეს ადვილი არ აღმოჩნდა. მუჰამედს და მის თანამოაზრეებს ბევრი წინააღმდეგობა შეხვდათ, რის გამოც მუჰამედს მოუხდა მექის დატოვება და მედინაში გადასახლება (632წ). ეს მოვლენა, იგივე „ჰიჯრა“ თქვენთვის უკვე ცნობილია თემიდან „ისტორია და წელთაღრიცხვა“.



სურ. 2.3.1.5. არაბი მეომრები.

მუჰამედის იდეები სიახლე არ იყო, რადგან ის უკვე არსებულ რელიგიებს – იუდაიზმსა და ქრისტიანობას ეფუძნებოდა. მუჰამედი, მიუხედავად სხვა სარწმუნოებებისადმი პატივისცემისა, „სადეთო წერილის ხალხის“ თავის სარწმუნოებაზე მოქცევას ცდილობდა.

მუჰამედის რეზიდენცია მედინაში განთავსდა. 631–632 წლებში არაბეთის დიდი ნაწილი ამა თუ იმ ფორმით შევიდა დიდ პოლიტიკურ გაერთიანებაში, რომელსაც სათავეში მუჰამედი ედგა. ის მიზნად ისახავდა ისლამის ფართოდ გავრცელებასა და დიდ სამხედრო ექსპედიციებს. მაგრამ 632 წელს იგი გარდაიცვალა ქალაქ მედინაში და იქვე დაკრძალული. ამჟამად ის, რომ მუჰამედი იქცა ისლამური სახელმწიფოს რელიგიური და პოლიტიკური პრინციპების ფუძემდებლად.



სურ. 2.3.1.6. მედინა.

**ეს საინტერესოა:**

❖ მექიდან მედინაში მალვით გაქცეულ მუჰამედს თან მღევრები დაედევნენ. მან მათგან თავის დასაცავად გამოქვაბულს შეაფარა თავი. ვიდრე მუჰამედი თავს გამოქვაბულს აფარებდა, ობობამ გამოქვაბულის შესასვლელში ქსელი გააბა და ის სრულიად დაფარა. როდესაც მღევრები გამოქვაბულს მიადგნენ და შესასვლელი ობობის ქსელით დაფარული დაუხვდათ, ჩათვალეს, რომ იქ მუჰამედი შეფარებული ვერ იქნებოდა, რადგან ასეთ შემთხვევაში ქსელს გაარღვევდა. მღევრებმა მუჰამედის საძიებლად გზა გააგრძელეს. თავად მუჰამედი კი ობობის წყალობითა და შემწეობით გადაურჩა მათ რისხვას და ჩავიდა მედინაში.



სურ. 2.3.1.7. მინიატურა – მუჰამედის ღამის მოგზაურობა.

❖ მუჰამედის თანამოაზრეებს, რომლებიც მასთან ერთად გაიქცნენ მექიდან მედინაში, “მუჰაჯირები” ეწოდათ.

❖ ვინაიდან ისლამი ღმერთისა და წმინდანების გამოსახულებების შექმნას კრძალავს, მუჰამედს მინიატურებში სახე დაუხატავი აქვს ან ჩაღრით აქვს დაფარული.

❖ არაბებს სწამდათ სულების, ანუ როგორც მათ უწოდებდნენ – ჯინების. მათი წარმოსახვით ისინი ცხოვრობდნენ მზის გულზე, ხეებზე, ჭვებსა თუ ქვებში. ასეთ ქვებს შორის აღმერთებდნენ დიდ “შავ ქვას”, რომელიც კუბის ფორმის სასახლით დაიფარა. ამ ქვის თავყვანისცემის ადგილს “ქააბა” ეწოდა.

აღმწმენი და იმედი სანდოა

აღმწმენი და იმედი სანდოა

**კითხვები**

1. რატომ იყო მუჰამედისათვის რელიგიურ-სამხედრო ძალა სახელმწიფოს ძლიერების გარანტი?
2. ხომ ვერ გაიხსენებდი რუბრიკა „ეს საინტერესოაში“ მოთხრობილი ამბის მსგავს რელიგიურ ისტორიასა თუ ლეგენდას რომელიმე აღმსარებლობიდან?
3. შენი სიტყვებით აღწერე ილუსტრაციის (2.3.1.4) შინაარსი და გადმოეცი შთაბეჭდილება, გაიხსენე მსგავსი სიუჟეტის რაიმე ილუსტრაცია, მინიატურა, ფრესკა და სხვ.

**დავალება 1**

1. ილუსტრაციების, შენ მიერ შეწავლილი ან მოძიებული მასალის საფუძველზე აღწერე არაბი ბედუინების ყოფა-ცხოვრების თავისებურებები.
2. ისაუბრე მუჰამედის მიერ შექმნილი რელიგიური მოძღვრების ხასიათზე. როგორ ფიქრობ, რამდენად ტოლერანტული იყო მისი დამოკიდებულება სხვა აღმსარებლობების მიმართ?

სურ. 2.3.1.8. არაბი ვაჭარი.



**§ 2. ისლამი და არაბთა სახალიფო**

**ა) ისლამი**

არაბი ტომები, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ხალხები, მრავალმერტიანობას აღიარებდნენ, ყოველ ტომს თავისი ღმერთი ჰყავდა. ისლამის წარმოშობაში დიდი როლი აქვს ერთი მხრივ იუდაიზმს, მეორეს მხრივ – ქრისტიანობასა და არაბულ პოლითეიზმსაც კი. ისლამის მთავარი დოგმა ერთი ღმერთის – ალაჰის აღიარება და მისდამი სრული მორჩილებაა (სიტყვა „ისლამი“ მორჩილს ნიშნავს).

ისლამი მესამე მსოფლიო მონოთეისტური რელიგიაა. როგორც ვიცით, ის მუჰამედის ქადაგების, მისი მოღვაწეობის შედეგად შეიქმნა და საუკუნეთა მანძილზე განიცდიდა გარკვეულ ცვლილებებს. მუჰამედის გარშემო უამრავი გადმოცემა არსებობს. ისინი მოგვითხრობენ მისი სასწაულმოქმედების შესახებ.


**წყარო 1**

„ისლამის ისტორიის მთელ მანძილზე მუჰამედი იყო და რჩება მუსლიმთათვის სათაყვანო პიროვნებად. გავრცელებულია სხვადასხვა ლოცვა მუჰამედის სახელზე... ისლამურ ღვთისმეტყველებაში მუჰამედი „სრულყოფილი ადამიანის“ მაგალითია. მისი ცხოვრება განდა სანიმუშო მუსლიმთათვის, რომლებიც გულმოდგინედ აგროვებდნენ ჰადისებს—გადმოცემებს იმის თაობაზე, თუ რას ამბობდა და როგორ იქცეოდა ისლამის ფუძემდებელი.“

გ. ჯაფარიძე.

მუჰამედს სწამდა ფატალიზმის, ბედისწერის. იგი ამბობდა, „არაფერი გამოგვივა გარდა იმისა, რაც ალაჰმა დაგვისახაო“. სწორედ ამიტომ საღვთო ომში მორწმუნეებს უშიშრად უნდა ეომათ, რადგან ბრძოლაში დაღუპულნი დაუყოვნებლივ სამოთხეში დაიმკვიდრებდნენ ადგილს.

ისლამური მონოთეიზმი, როგორც სხვა მონოთეისტური რელიგიები, უპირისპირდება მრავალმერტიანობას. მუსლიმთა საღვთო წიგნი „ყურანი“, „ალაჰის სიტყვა“, მიმართულია მუჰამედისადმი და მისი მეოხებით ყველა მაჰმადიანისადმი.



სურ. 2.3.2.1. მეჩეთი მეკაში.

**წყარო 3**

„... მუსლიმი უნდა იყოს სამართლიანი, სიკეთეზე სიკეთით უპასუხოს, ბოროტებაზე ბოროტებით, იყოს გულუხვი, დაეხმაროს დატაკებს და ა.შ. ოჯახში და ისლამურ სამყაროში პატრიარქალური ურთიერთობები ჩამოყალიბდა. ქალი—მორჩილებაშია,

მამაკაცის ნებას მორჩილებს. ამასთანავე, ყურანში აღიარებულია ქალის ადამიანური და მოქალაქეობრივი უფლებები: ისჯება ცოლისადმი ქმრის გადამეტებული სიმკაცრე, აღიარებულია ქალის ქონებრივი უფლებები...

ღვთის წინაშე ყველა მუსლიმი თანაბარია, თუმცა მათ შორის ქონებრივი და სოციალური განსხვავება ალაჰის მიერაა დაწესებული. კერძო საკუთრებას იცავს ყურანი. სავაჭრო შემოსავალი ითვლება სახვებით კანონიერად, მევახშეობა კი ისჯება”.

ს. ტოკარევი.

ისლამი საქართველოში ფართოდ გავრცელებული რელიგიაა, რასაც ხელი შეუწყო ქვეყნის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ.

**ეს საინტერესოა:**

❖ მუსლიმთა რწმენის აღიარების მთავარი აზრი არის „არა არის ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამედი მისი მოციქული“. მაჰმადიანთ მთავარი წიგნი ყურანია (არაბ. ალ-კურან-საკითხავი). ის 114 სურისაგან (თავი) შედგება. მისი შექმნიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ შეიქმნა სუნა ანუ ჰადისების კრებული, რომელიც თავის მხრივ მუსლიმური სამართლის – შარიათის წყაროდ იქცა. ისლამის მიმდევართა რწმენით ყურანი მოციქულ მუჰამედს ანგელოზმა ჯაბრაილმა (გაბრიელმა) წაუკითხა. მისი ტექსტი პირველად ხალიფა ოსმანის დროს (644-665 წწ) გამოჩნდა.



სურ. 2.3.2.2. ისლამის გავრცელება

❖ „თქვეს ანგელოზებმა: „მარიამ, ჭეშმარიტად, ალაჰი გენდო შენ და განგწმინდა და აგირჩია ქვეყნიერების ქალებისაგან... მარიამ, ალაჰი გახარებს შენ ამბავით მის შესახებ, რომლის სახელია მესია ისა (იესო)...“

ყურანი, სურა 3.

❖ „ჭეშმარიტების გზის მოსაძებნად უნდა იყო იუდეველი ან ქრისტიანი... ჩვენ გვწამს ალაჰის და იმის, რაც მისგან ზეგარდმოვედინა, რაც ზეგარდმოვედინა იბრაჰიმს, ისმაილს, ისჰაკს, იაკუბს, და მათ შთამომავლებს, მუსას (მოსეს) და ისას (იესოს) და რაც წყალობად ებოძათ მოციქულებს მათი ღმერთისაგან...“

ყურანი, სურა 2.

❖ ამონარიდები მუჰამედის ჰადისებიდან:

1. ვისაც ლოცვა ხელს არ უშლის ჩაიდინოს ცუდი საქციელი, იგი შორსაა ღმერთისაგან.
2. მცირედით დაკმაყოფილება, უდიდესი სიმდიდრეა.
3. თქვენს შორის საუკეთესოები არიან ისინი, ვინც სიკეთისაკენ მოგიწოდებენ.
4. მისწრაფება ცოლისადმი ყოველი მუსლიმის მოვალეობაა.
5. მუსლიმის ქონება მუსლიმის სისხლია.

**კითხვები**

1. როგორ ფიქრობ, რატომ მიიჩნევენ ისლამს ერთ-ერთ მსოფლიო რელიგიად?
3. როგორ ახასიათებს ჰადისები, წყარო 2 და რუბრიკა „ეს საინტერესოა“ ჭეშმარიტ მუსლიმს?
4. როგორ აისახა ყურანში ისლამის დამოკიდებულება სხვა რელიგიებისადმი?

**დავალება 1**

1. შესწავლილი მასალის მიხედვით იმსჯელეთ სხვადასხვა რელიგიების გავლენაზე ისლამის ჩამოყალიბების პროცესში.
2. მოიძიეთ ინფორმაცია ისლამური სიმბოლიკის შესახებ, გამოიკვლიე, რომელ სახელმწიფოებს გააჩნიათ მსგავსი სიმბოლიკა და განათავსე ისინი კონტურულ რუკაზე.

**ბ) არაბთა სახალიფო**

მუჰამედის სიკვდილის შემდეგ მუსლიმებმა მთელი არაბეთი დაიმორჩილეს. პირველი ოთხი ხალიფა (აბუ ბაქრი, ომარი, ოსმანი და ალი) მუჰამედის ნათესავები ან ახლობლები იყვნენ. ისინი ღარიბულად ცხოვრობდნენ, ისე, როგორც უბრალო არაბი ხალხი. მათი ცხოვრების წესი სამაგალითო იყო და სწორედ ამიტომ ეწოდათ კიდევ მათ „მართლმორწმუნე ხალიფები“. სირიაში, ეგვიპტესა და

საუბნისათვის და იმდროინდელი ანტიკური

საუბნისათვის და იმდროინდელი ანტიკური

ირანში დასახლებულ მდიდარ არაბებს ასეთი სისადავე აღარ აკმაყოფილებდათ და ამიტომ ყოფით ნიადაგზე წარმოიშვა უთანხმოებები, რომელთაც ზედ სარწმუნოებრივი წინააღმდეგობაც დაერთო; წარმოიშვა სუნიტური და შიიტური მიმდინარეობები. სუნიტები აღიარებდნენ „მართლმორწმუნე ხალიფების“ კანონიერებას, მუჰამედის შესახებ გადმოცემების (სუნა) ჭეშმარიტებას და თვლიდნენ, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ პოლიტიკური და სასულიერო ძალაუფლება მუსლიმთა თემის მიერ არჩეულ ადამიანს უნდა გადასცემოდა. მათგან განსხვავებით, შიიტები მიიჩნევდნენ, რომ უზენაესი ხელისუფალი აუცილებლად მოციქულის შთამომავალი უნდა ყოფილიყო. ისინი თავიდანვე მხარს უჭერდნენ მუჰამედის ბიძაშვილისა და სიძის (მოციქულის ქალიშვილის, ფატიმას ქმრის) ალის კანდიდატურას.

შიიტებსა და სუნიტებს შორის დაპირისპირება სუნიტების გამარჯვებითა და ხალიფა ალის მკვლელობით დასრულდა. ხალიფას ტახტი ერგო სირიის ჯარების მთავარსარდალს, რომელმაც დედაქალაქი მედინიდან დამასკოში გადაიტანა და შექმნა ომაიანთა სახალიფო, სადაც ხალიფას ხელისუფლება მემკვიდრეობით გადაეცემოდა. IX საუკუნის შუა ხანიდან ხალიფებმა თანდათან დაკარგეს პოლიტიკური ძალაუფლება ისლამური სამყაროს დიდ ნაწილზე და მხოლოდ სასულიერო მეთაურის ფუნქცია შეინარჩუნეს.



სურ. 2.3.2.3. არაბთა იმპერია X საუკუნეში


დღეს მსოფლიოს მაჰმადიანთა 80% სუნიტია. შიიტები აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ ირანში. დიდია მათი პროცენტული მაჩვენებელი ერაყში, ქუვეითსა და ლიბანში.

**კითხვები**

1. როგორ ფიქრობ, არის თუ არა შესაძლებელი, რომ მუჰამედის მოღვაწეობა განვიხილოთ, როგორც პოლიტიკური ფიგურის ცხოვრება? დასაბუთე შენი პასუხი.
2. როგორ ფიქრობ, რა ფაქტორები განაპირობებდნენ ხალიფის ხელისუფლების გაძლიერებას ან პირიქით შესუსტებას?

**გ) სახალიფოს ყოფისა და კულტურის დეტალები**

ისლამურ სამყაროში სარწმუნოების ენა არაბული იყო. ყურანი და სუნა მხოლოდ არაბულ ენაზე არსებობდა და, ბუნებრივია, ეს ისლამის გავრცელებასთან ერთად არაბული ენის პოპულარიზაციასთანაც იყო დაკავშირებული. არაბული იქცა სამართალწარმოების, ლიტერატურის, განათლებისა და სამეცნიერო ენად.



მედიცინის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის იბნ-სინას, ევროპაში ავიცენას სახელით ცნობილ მეცნიერს. მის მიერ შექმნილი „სამკურნალო მეცნიერების კანონი“ შუა საუკუნეებში ყველა ექიმის სამაგიდლო წიგნი იყო.

არაბული კულტურის ყველაზე თვალსაჩინო მემკვიდრეობა არქიტექტურაა. არაბების მიერ ევროპტეში დაარსებული ქალაქი კაირო, ან მესოპოტამიაში დაარსებული ქალაქი ბაღდადი არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშია.

სურ. 2.3.2.4. ავიცენა

ისლამის მიხედვით, ლოცვები ყველგან შეიძლება აღევლინოს, თუმცა, ტრადიციულად მამაკაცთა მიერ მეჩეთში წარმოითქმება. ქალები მეჩეთში მხოლოდ იმ შემთხვევაში შედიან, თუ იქ არის გამოყოფილი მათთვის სპეციალური ადგილი. მაჰმადიანთა წმინდა, უქმე დღეა პარასკევი.

ისლამური ცივილიზაცია თავიდანვე საქალაქო სახით ჩამოყალიბდა და ძირითადად ვაჭრობაზე იყო ორიენტირებული. ალბათ ამიტომაც, ამ



სურ. 2.3.2.5. არაბული მეჩეთი



ქალაქებში დომინანტური ვაჭართა ფენა იყო. ქალაქში ხელისუფლება კონცენტრირებული იყო მმართველის ხელში. ის უზრუნველყოფდა კანონიერებასა და ქალაქის თავდაცვისუნარიანობას. საკუთარი ინტერესების დაცვა შეეძლო მოსახლეობას, რომელიც საკუთარ წარმომადგენლობას ირჩევდა. ქალაქის მმართველობითი ორგანო ზრუნავდა სასამართლოსა და ქალაქის ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე (სანიტარული ნორმები, სავაჭრო პროდუქციის ზედმხედველობა და სხვ.). არსებობდა სხვადასხვა ტიპის გადასახადი და რელიგიური შემოწირულობების მთელი სისტემა. ასეთი ვალდებულებებისაგან მხოლოდ სასულიერო პირები თავისუფლდებოდნენ. ვაჭართა და ხელოსანთა ფენა მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. კარგად იყო განვითარებული სატრანსპორტო სისტემა. ყოველ ქალაქს ძირითად შესასვლელებთან, კარიბჭესთან, ტვირთის გადამზიდი პირუტყვის სადგომი და კარგად გამართული სანავიგაციო სისტემა ჰქონდა. ეს თავისთავად სავაჭრო ინტერესით იყო განპირობებული. ამ მიმართულებით ძალზე მნიშვნელოვანია იმ პერიოდისათვის სავაჭრო გზის მოწესრიგებულიობა. აღსანიშნავია, ამ გზებსა და ქალაქებში სასტუმროების არსებობა, რაც, რა თქმა უნდა, ყოფითი კულტურის მაღალ დონეზე მიანიშნებს.

**ეს საინტერესოა:**

❖ ისლამურ სამყაროში ყველაზე ადრე აითვისეს ქალაქის წარმოების ტექნოლოგია, რომელიც იქ, რა თქმა უნდა, ჩინეთიდან შევიდა, მაგრამ ამ საქმეში სელი პირველად სწორედ არაბებმა გამოიყენეს.

❖ არაბებმა შექმნეს ათწილადები და მათზე მოქმედების წესები. მათვე შექმნეს ალგებრა. მთელი მსოფლიოსათვის “არაბულის” სახელით ცნობილი ციფრების წარმომავლობა კი სინამდვილეში ინდურია. არაბებმა მხოლოდ ისარგებლეს ამ ციფრებით და გააცნეს ისინი ევროპას. ასევე არაბი ვაჭრების მეშვეობით გაიცნო ევროპამ კომპასი.



სურ. 2.3.2.6. მუსლიმი ქალები ტრადიციულ სამოსში

❖ ყურანი ისლამურ სამყაროში ქალებს საკუთრების უფლებას ანიჭებდა. ქალი გათხოვებისას საქმროსაგან იღებდა მზითევს, რომელიც გაყრის შემთხვევაშიც მის საკუთრებაში რჩებოდა. ყურანი ქალს ჩადრით სიარულს არ ავალდებულებს. ეს ტრადიცია, როგორც ჩანს, მოგვიანებით დამკვიდრდა.

**წყარო 3**

„ყურანით განისაზღვრა ალაჰის მოციქულის – მუჰამედის ცოლების განსაკუთრებული სტატუსი მუსლიმურ თემში. საპატიო ტიტული, – „მორწმუნეთა დედები“ მუჰამედის ცოლებს მიეკუთვნათ უპირველეს ყოვლისა მუჰამედის პირად ცხოვრებაში მონაწილეობის გამო. თუმცა, განსაკუთრებულ უფლებებთან და პრივილეგიებთან ერთად, ეს იყო ერთგვარი „ღვთიური წინამძღოლობა და მოვალეობებიც. მოციქულის ცოლებს ალაჰმა განუსაზღვრა ორმაგი ჯილდო და შესაბამისად ორმაგი სასჯელი, რადგანაც ისინი არიან მიბაძვის მაგალითი ...“

მუჰამედმა თავის ცოლებს არჩევანის უფლება მისცა – შეენარჩუნებინათ ქორწინება ან მიეღოთ განქორწინება. თუ ალაჰის მოციქულის რომელიმე ცოლი მოისურვებდა გაყრას, თავდაპირველად მუჰამედი წარმოსთქვამდა გაყრის ფორმულას და შეასრულებდა მასთან დაკავშირებულ ყველა ვალდებულებას. განქორწინების შემდეგ ეს ქალი აღარ მიეკუთვნებოდა „მორწმუნეთა დედებს“. მუჰამედმა ყველა ცოლისაგან ერთი და იგივე პასუხი მიიღო – „მათ უარი თქვეს მიეღოთ გაყრის თავისუფლება მისგან“.

ნ. გელოვანი.

❖ ქალებს მკაცრად ეკრძალებოდათ სხვა ეროვნების მამაკაცზე ქორწინება, თუმცა დასაშვები იყო პირიქით – სხვა ეროვნების ქალის არაბ მამაკაცზე გათხოვება.

**კითხვა**

როგორ ფიქრობ, რით იყო გამოწვეული ეს შეუსაბამობა?

მექისა და მედინის შემდეგ მუსლიმთათვის წმინდა ადგილია იერუსალიმში მდებარე ომარის მეჩეთი. ის ხალიფა ომარის ბრძანებით აიგო სოლომონის ტაძრის ნანგრევებზე, იმ კლდეზე, საიდანაც გადმოცემის თანახმად, მუჰამედმა სამოთხეში გადაინაცვლა. მეჩეთის მშენებლობა დიდხანს მიმდინარეობდა. ის დასრულდა 691 წელს, ისლამის ფუძემდებლის გარდაცვალებიდან თითქმის სამოცი წლის შემდეგ.

საქართველო IV - XI საუკუნეებში

საქართველო IV - XI საუკუნეებში



სურ. 2.3.2.7. ომარის მეჩეთი.

საზოგადოებრივი ბიბლიოთეკები ყველასთვის ღია იყო. მის სამკითხველო დარბაზებში მუდამ ხალხი ფუსფუსებდა. იქ მოხვედრა გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ იყო შესაძლებელი. განსაკუთრებული პატივით სარგებლობდნენ კალიგრაფები და გადამწერები.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ზღაპრების კრებულია „ათას ერთი ღამე“, რომელიც საუკუნეების მანძილზე იწერებოდა. მასში შემავალი ნაწარმოებებიდან ყველაზე პოპულარულია „სინდბადის თავგადასავალი“, „ალადინის ჯადოსნური ლამპარი“ და „ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი“.

**დავალბა 2**

1. შესწავლილი მასალის საფუძველზე შენი სიტყვებითა და შენთვის მისაღები ფორმით (პოსტერი, ჩანახატი, ილუსტრაცია) აღწერე საქალაქო ცხოვრების სოციალური, სავაჭრო და კულტურული მხარეები.
2. სურათების 2.3.2.2-ისა და 2.3.2.3-ის მიხედვით დააზუსტე ის ქვეყნები, სადაც რელიგიური ან პოლიტიკური ნიშნით მოხდა არაბთა გავლენის გავრცელება (შეავსე ცხრილი).

სახელმწიფო		სარწმუნოება	
ძველი სახელწოდება	თანამედროვე სახელწოდება	არაბთა გამოჩენამდე	არაბთა დაპყრობის შემდეგ

3. შეადარე ერთმანეთს ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სამყაროში ქალის უფლებრივი მდგომარეობა და ჩამოაყალიბე საკუთარი აზრი.
4. ისაუბრე, რამდენად აისახა მუჰამედის მცნებები მუსულმანთა ცხოვრების წესზე.

**დამოუკიდებელი სამუშაო**

1. ისაუბრე ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომელთაც, შენი აზრით, განაპირობეს მსოფლიოში არაბთა ექსპანსია.
2. როგორ ფიქრობ, რა დადებითი და რა უარყოფითი შედეგები მოუტანა არაბთა ბატონობამ მათ მიერ დაპყრობილ ხალხებს? (შეავსე T დიაგრამა).

**განმარტებები**

- ეთნონიმი** – სიტყვა, რომელიც წარმოადგენს ამ თუ იმ ხალხის სახელწოდებას.
- თეოლოგია** – საეკლესიო მოძღვრება ღმერთზე და რელიგიის დოგმატებზე.
- ტენდენცია** – აქ: რისამე განვითარების მიმართულება; მისწრაფება, მიდრეკილება რაიმესადმი.
- დომინანტი** – ძირითადი, გაბატონებული იდეა.
- ხალიფა** – (არაბ. “მოადგილე”) 1. არაბთა სასულიერო და სახელმწიფო მეთაური (მე-13 ს.-მდე), რომელიც ცვლის ალაჰის მოციქულს. 2. ეგვიპტისა და ოსმალეთის სულთნების ტიტული.

არაბული ცივილიზაცია და საქართველო

ისლამი და არაბთა სახალხო

### § 3. არაბები და გარე სამყარო

თქვენ უკვე იცით, რომ არაბებმა ეტაპობრივად განახორციელეს ფართომასშტაბიანი ექსპანსია სხვადასხვა მიმართულებით. ეს კი თავისთავად მიანიშნებს ისლამის გავრცელების მასშტაბებსაც. თქვენ ასევე იცით, რომ არაბთა მსოფლიო ასპარეზზე გამოსვლის მომენტი სათვლის ორი უდიდესი და უძლიერესი იმპერია ბიზანტია და სასანური ირანი დასუსტებულია ურთიერთქმედებით. არაბებმა მოახერხეს არა მარტო შეტევა ირანზე, არამედ მისი დაპყრობაც და ქვეყანაში ისლამის გავრცელებაც. რაც შეეხება ბიზანტიას, მას არაბებმა მნიშვნელოვანი პროვინციები ჩამოართვეს და ისინი საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციეს. არაბებმა 711 წელს ჰიბრალტარის სრულტე გადალახეს და დაიპყრეს ესპანეთი.



სურ. 2.3.3.1. ბიზანტიის იმპერია და არაბთა სახალიფო.



სურ. 2.3.3.2. ბრძოლის სცენა, არაბული მინიატურა.

არჩუნებდნენ სოციალურ ბარიერებს მათსა (არაბებს) და სხვა წარმომავლობის ხალხებს შორის. მიუხედავად მაჰმადის რჯულზე მოქცევისა, მათი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებები მაინც შეზღუდული რჩებოდა.

ლაშქრობებით მოპოვებული ნადავლი და ხარკი დამასკოში იყრიდა თავს. ომაიანთა დინასტიის წარმომადგენლები და წარჩინებული არაბები დიდ ფუფუნებაში ცხოვრობდნენ. ეს, რა თქმა უნდა, დაპყრობილი ხალხების შევიწროების ხარჯზე ხდებოდა. დაპყრობილი ხალხების ურჩობის შემთხვევაში მათ სასტიკად უსწორდებოდნენ.

#### წყარო 1

„იბრძოლე მათ წინააღმდეგ, ვისაც არ სწამს ღმერთის ან განკითხვის დღისა, ვინც არ კრძალავს იმას, რაც ღმერთმა და მისმა მოციქულმა აკრძალეს და არ აღიარებს ჭეშმარიტ რელიგიას, მათ შორის მათ წინააღმდეგაც, ვისაც მიეცა წმინდა წიგნები, სანამ ისინი, დამცირებულნი, არ გადაიხდიან ჯიზიას“.

ყურანი, IX, 29.

#### კითხვები

1. როგორ ფიქრობ, რატომ უტევდნენ არაბები განსაკუთრებული მონღომებით ბიზანტიას?
2. როგორ ფიქრობ, რა როლს ასრულებდა რელიგიური ფაქტორი არაბთა დაპყრობით ომებსა და დამორჩილებულ ხალხებთან ურთიერთობაში?

სახალიფოს მმართველობაში ვითარება შეიცვალა აბასიანთა დინასტიის მოსვლით. დასრულდა არაბული სახალიფოს ისლამურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. აბასიანთა ზეობის დროს დაწინაურდა სპარსული წარმომავლობის საზოგადოება. მათ ერთიორად შეუწყვეს ხელი ისლამური სახალიფოს სახელმწიფო პოლიტიკისა და კულტურის აღზევებას. დედაქალაქმა დამასკოდან გადაინაცვლა ერაყში, ბაღდადში. აბასიანებმა სპარსული მოდელის საფუძველზე ჩამოაყალიბეს პირველი რეგულარული არმია. მათ ისლამი გამოიყენეს როგორც უზრმაზარი იმპერიის ქვაკუთხედი. რელიგია იქცა აბასიანი მმართველების დასაყრდენად.

**წყარო 2**

„მათი (აბასიანთა) გამარჯვების მნიშვნელოვანი შედეგი იყო ის, რომ არაბებმა დაკარგეს პრივილეგირებული მდგომარეობა და მონოპოლია ხელისუფლებაზე, მოხდა სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მუსლიმთა უფლებრივი გათანაბრება, რამაც განაპირობა ირანისა და შუა აზიის სწრაფი ისლამიზაცია. სახალიფოს პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაში ირანული ელემენტების გაძლიერება. აბასიანთა დროს განვითარების მაღალ დონეს მიაღწია სოფლის მეურნეობამ, ვაჭრობა-ხელოსნობამ, საქალაქო ცხოვრებამ, არაბულმა მეცნიერებამ და კულტურამ.“

გ. ჯაფარიძე.

**კითხვები**

1. როგორ ფიქრობ, რატომ არ ანიჭებდნენ არაბები თანასწორ უფლებებს დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას?
2. როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა აბასიანთა მმართველობის პერიოდში სახალიფოს პოლიტიკური და კულტურული დაწინაურება?

**ეს საინტერესოა:**

❖ ომაიანების ახალი, ძლიერი ფლოტის მიერ კონსტანტინოპოლი ალყაში ორჯერ იქნა მოქცეული. სწორედ მაშინ გამოიგონეს ბიზანტიელებმა საიდუმლო იარაღი „ბერძნული ცეცხლი“, რომლის მეშვეობითაც დაუწვეს არაბებს ხომალდები და მოიგერიეს მათი იერიში. „ბერძნული ცეცხლი“ იყო ვერცხლისწყლის, ნავთისა და გოგირდის ნარევი, რომელიც ფეთქდებოდა ვერცხლისწყლის წყალში მოხვედრისთანავე. ბიზანტიელები ამ შენაერთს სპეციალურად დამზადებული მილების საშუალებით ესროდნენ მტრის სამხედრო ხომალდებს.



სურ. 2.3.3.3. „ბერძნული ცეცხლი“, XII საუკუნის მინიატურა.

❖ გადმოცემის მიხედვით, როდესაც არაბები ატლანტის ოკეანეს მიაღწენენ, ერთ-ერთი სარდალი ცხენით შეიჭრა წყალში და დამწუხრებითა და სინანულით წარმოთქვა, რომ აღარაფერი დარჩა დასაპყრობი.

❖ ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში არაბები შეერივნენ აბორიგენ მოსახლეობას – ბერებერებს. მათ გადალახეს ჰიბრალტარის სრუტე და დაიპყრეს ესპანეთი. ეს ის ხალხია, რომელიც მავრების სახელით მოიხსენიება.

**დავალება 1**

იმსჯელებით იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობდნენ ან პირიქით – უშლიდნენ ისლამიზაციის პროცესს.

**დამოუკიდებელი სამუშაო**

შეადარეთ ერთმანეთს ომაიანთა და აბასიანთა მმართველობის პერიოდები.

**განმარტებები**

**ჯიზია** – საკომლო გადასახადი, რომელსაც ისლამურ სახელმწიფოში იხდიდნენ არამუსლიმები.

**§ 4. არაბულ-ქართული ურთიერთობები VII-VIII საუკუნეებში**

ხალიფა ომარის ზეობის (634-644 წწ.) დროს არაბებს დამორჩილებული ჰქონდათ სირია, პალესტინა და ირანის დიდი ნაწილი. ამ დაპყრობებმა მათ გზა გაუხსნეს ამიერკავკასიისაკენ. უკვე 640 წელს პირველი არაბული რაზმი გამოჩნდა სომხეთში.

**წყარო 1**

„ქართლსაც არაბები პირველად 642-643 წელს მოსდგომიან. მაგრამ ქართველებს ისინი დაუმარცხე-

ბიათ და თავისი საზღვრებიდან გაუდევნიათ. თანდათანობით არაბები მომაგრდნენ. 654 წლის დამდეგისათვის არაბებს უკვე მთელი სომხეთი ჰქონდათ დაპყრობილი. იმავე წელს არაბებმა აიღეს ქალაქი თეოდოსიოპოლი, დღევანდელი არზრუმი. ბიზანტიელების მთავარი სიმაგრე ამიერკავკასიაში და ქართლისაკენ გამოემართნენ.

ქართლის ერისმთავარს გადაუწყვეტია არაბებთან ბრძოლა აღარ ღირსო, მათთვის თავისი ელჩი შეუგებებია საჩუქრებით და ზავი და მშვიდობა უთხოვია. არაბთა სარდალს მოსწონებია ქართლის ერისთავის საქციელი და მიუცია მისთვის ეგრეთწოდებული „დაცვის სიგელი“, რომელშიაც არაბ-ქართველთა ურთიერთობა იყო განსაზღვრული”.

ნ. ბერძენიშვილი, გ.მელიქიშვილი და სხვ.

საქართველო მარტო აღმოჩნდა არაბების პირისპირ. დამარცხებული ბიზანტია მას ვერ დაუჭერდა მხარს, მეზობელ სომხეთშიც არაბები იყვნენ გაბატონებულნი. იმ დროს ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი იყო. სწორედ მან გაუგზავნა საჩუქრები არაბთა სარდალ ჰაბიბ იბნ-მასლამას ზავისა და მშვიდობის შეთავაზებით. არაბი სარდალი კმაყოფილი დარჩა და ძღვენი მომავალი ხარკის ანგარიშში ჩათვალა. როგორც უკვე ითქვა ნებაყოფლობით დამორჩილების გამო ქართლს არაბებმა „დაცვის სიგელი” უბოძეს.

**კითხვები**

1. როგორ ფიქრობ, საქართველოს უსაფრთხოებისათვის რა მნიშვნელობა ჰქონდა მეზობელი სახელმწიფოების პოლიტიკურ მდგომარეობას?
2. როგორ ფიქრობ, რამდენად დიპლომატიური ნაბიჯი გადადგა სტეფანოზმა არაბ სარდალთან ურთიერთობაში? თქვენ როგორ მოიქცეოდით?

**წყარო 2**

„სახელითა ალაჰისა მოწყალისა მწყალობლისათა. ეს არის წიგნი ჰაბიბ იბნ-მასლამასაგან თბილისის, არმაზის, მანგლისის მოსახლეობისადმი მათი პიროვნების, ტადრების, მონასტრების, ლოცვის და რელიგიის გარანტიის პირობით დამცირებისა და ჯიზიას ცნობისა – კომლის თავზე თითო დინარი. თქვენ არ გაქვთ უფლება, რომ გააერთიანოთ კომლები ჯიზიას შემსუბუქების მიზნით და ჩვენ კი არ გვაქვს უფლება დავანაწილოთ ისინი მისი გაზრდის მიზნით. თქვენ ვალდებული ხართ, რომ დაგვემართო ჩვენ რჩევით და შეწევნით ალაჰისა და მისი მოციქულის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში რამდენადაც შეგიძლიათ... გევალებათ ღამის გათევინება მუსლიმანისა და მათი გამასპინძლება დასაშვები საჭმელით. თუ ჩამორჩება მუსლიმანი თავისიანებს, ვალდებული ხართ მიიყვანოთ ის მართლმორწმუნეთა უახლოეს რაზმამდე, თუ ეს თქვენთვის შეუძლებელი არ არის. თუ ისლამზე მოიქცევით და შეასრულებთ ჩვენს ლოცვას, მაშინ გახდებით ჩვენი თანამოძმენი სარწმუნოებაში, თუ არა და ვალდებული ხართ იხადოთ ჯიზია. თუ მუსლიმანები ვერ დაგეხმარებიან თქვენ, ხოლო მტერი დაგიმორჩილებთ, ამისთვის თქვენ არ იქნებით დასჯილნი და ეს არ იქნება დამრღვევი თქვენი აღთქმისა. ესაა თქვენი უფლებები და თქვენი ვალდებულებები”

ჰაბიბ იბნ-მასლამა, „დაცვის სიგელი”.



**დავალება 1**

„დაცვის სიგელის” ტექსტის დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე შეავსე ცხრილი:

პირობები ქართული მხარისათვის	პირობები არაბული მხარისათვის
<b>შენიშვნა:</b>	

1. გამოკვეთე ქართული მხარისათვის კაბალური და პირიქით შეღავათიანი პირობები.
2. გამოკვეთე და ჩამოაყალიბე არაბული მხარის ინტერესები.

აქედან დაიწყო საქართველოს ისტორია

აქედან დაიწყო საქართველოს ისტორია

არაბთა ბატონობა ამიერკავკასიაში ამ-  
ვერად დიდხანს არ გაგრძელდებოდა. სახალიფო  
შინაომებმა მოიცვა და 661 წლამდე არაბები ქა-  
რთლში აღარ გამოჩენილან. სამოციანი წლები-  
დან ქართლის მდგომარეობა გართულდა, აქ სამი  
ძლიერი სახელმწიფოს ინტერესები გადაიკვეთა.  
სახალიფო და ბიზანტია ქართლის დაუფლები-  
სათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ. მათ ერთი  
მხრივ ხარკის მიღების, ხოლო მეორე მხრივ საუ-  
ღელტეხილო გზების ხელში ჩაგდების სურვილი  
ამოძრავებდათ. ამ სიტუაციაში ხაზარები ქართლს  
ნადავლის დაუფლების მიზნით ესხმოდნენ თავს  
და ამდენად, მოსახლეობას სამი მიმართულებით უწევდა ბრძოლა.



სურ. 2.3.4.1. ხაზართა ლაშქარი

ამ ვითარებაში, ბუნებრივია, ქვეყანა დაუძლურდა, რითაც ყველაზე კარგად არაბებმა ისარგებლეს და  
80-იანი წლებიდან ისინი გამუდმებით ესხმოდნენ თავს საქართველოს და „დაცვის სიგელის“ პირო-  
ბების შესრულებას მოითხოვდნენ. არაბები დასავლეთ საქართველოშიც გადავიდნენ. ეგრისის მმართველმა  
სერგი ბარნუკის ძემ, ბიზანტიელთა ბატონობით შეწუხებულმა, გადაწყვიტა მათ წინააღმდეგ  
არაბთა გამოყენება. ის აუჯანყდა ბიზანტიელებს და ქვეყანა არაბებს დაუმორჩილა. VIII საუკუნის  
დასაწყისში არაბებს ზღვისპირა ზოლის გარდა მთელი დასავლეთ საქართველო ემორჩილებოდა.  
ციხეებში არაბთა გარნიზონები იდგა.

**კითხვები**

1. რომელი საუღელტეხილო გზების გაკონტროლება სურდათ ზემოთ ხსენებულ დიდ სახელმწიფოებს და რატომ?
2. არაბთა რომელი დინასტიის მმართველობის დროს უნდა მომხდარიყო აღწერილი მოვლენები?
3. როგორ შეაფასებდი სერგი ბარნუკის ძის ნაბიჯს? იმსჯელე დადებით და უარყოფით შედეგებზე.

**დავალება 2**

შეადარე ერთმანეთს ერისმთავარ სტეფანოსისა და სერგი ბარნუკის ძის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

**დამოუკიდებელი სამუშაო**

იმსჯელე რატომ წარმოადგენდა საქართველო და მთლიანად ამიერკავკასიის რეგიონი სხვადასხვა ძლიერი სახელმწიფოების ინტერესთა სფეროს?

**განმარტებები**

**კაბალა** – სრული, მონური დამოკიდებულება ვინმეზე.

**§ 5. მურვან იბნ-მუჰამედი და საქართველო**

VIII საუკუნის ოციანი წლებიდან ქართლში არაბთა ბატონობა დამძიმდა. კომლობრივის ნაცვლად დაწესდა სულაღობრივი გადასახადი „ჯიზია“ და საადგილმამულო გადასახადი – „ხარაჯა“. ასეთმა საგადასახადო ვალდებულებებმა მოსახლეობაში მღელვარება გამოიწვია და აჯანყებაში გადაიზარდა. არაბებმა ურჩობაზე საპასუხო რეაქცია არ დააყოვნეს და ბაღდადის ხალიფა ჰაშიმმა სალაშქროდ გამოცდილი სარდალი მურვან იბნ-მუჰამედი გამოგზავნა. საქართველოში ის „მურვან ყრუს“ სახელითაა ცნობილი.

**წყარო 1**

„ მოიწია ამირა აგარიანი (მაჰმადიანი) ქართლად, რომელსა ერქვა მურვან ყრუ, ძე მომადისა .. ამისთვის ეწოდა მეორედ ყრუ, რომელ არა მიითვლიდა სიტყვასა განმზრახვითსასა“

ჯუანშერი.

მურვან იბნ-მუჰამედი საქართველოში 735 წელს შემოვიდა. მის ლაშქარში 120 ათასი მეომარი იყო. მან აიღო აღმოსავლეთ საქართველოს ციხეები და მკაცრად გაუსწორდა ადგილობრივ მოსახლეობას.

**წყარო 2**

„... მოვლო ყრუმან ყოველი კაკკასია, და დაიპყრო კარი დარიალისა და დარუბანდისა, და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა”

ჯუანშერი.

**წყარო 3**

„შემუსრნა ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქვეყნისანი, და ციხე იგი (სამგალაღნიანი), რომელ არს ესე ციხეგოჯი, შემუსრნა, და შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა.

... და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა... შემუსრნა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი და მოღვა ციხესა ანაკოფიისასა, რომელსა შინა იყუნეს მაშინ მეფენი ქართლისანი მირ და არჩილ“.

ჯუანშერი.



სურ. 2.3.5.2. ანაკოფიის ციხე.

ქართველებისა და აფხაზების გაერთიანებულმა ჯარმა შეძლო არაბთა წინააღმდეგობის დაძლევა და მათი უკუქცევა. არაბთა რიგებში თავი იჩინა ეპიდემიამ და მრავალი მეომარი იმსხვერპლა. ამას თან დაერთო წყალდიდობა, რომელმაც საშინლად დააზარალა არაბები. მურვან ყრუს ლაშქრობა სამი წლის მანძილზე გრძელდებოდა და საქართველოსთან ერთად მთელი კაკკასია მოიცვა.

**წყარო 4**

მურვან იბნ-მუჰამედის ლაშქრობის შემდეგ „...იქმნა მას ჟამსა განყრუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა და არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთ ყოვლადვე”.

ჯუანშერი.

**კითხვები**

1. რატომ ეწოდა მურვან იბნ მუჰამედს „მურვან ყრუ“?
2. წყარო 2-ის, 3-ისა და 4-ის მიხედვით იმსჯელეთ, რა შედეგები მოუტანა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს მურვან იბნ-მუჰამედის ლაშქრობამ?

ამიერკაკკასიაში არაბთა დაპყრობითი ომებისა (VII საუკუნის 40–50-იანი წწ.) და მათი ბატონობის შემდეგ ჩამოყალიბდა დიდი პროვინცია არმინია (სომხეთი). მის შემადგენლობაში შედიოდა სომხეთი, ალბანეთი და ქართლი. არმინიის გამგებელი (ვალი), რომლის რეზიდენციაც იყო ღვინსა და ბარდავში ინიშნებოდა ხალიფას მიერ. მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ შეიქმნა თბილისის საამირო, რომელიც თავდაპირველად მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოიცავდა. თბილისის საამიროს გამგებელს, ამირას, ნიშნავდა არმინიის ვალი, ანდა უშუალოდ ხალიფა... თბილისის ამირებს ექვემდებარებოდნენ რუსთავის, დმანისის, ხუნანის და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მნიშვნელოვანი ქალაქების ამირები და შედარებით მცირე ადმინისტრაციული ერთეულების გამგებლებიც. ქართული წყაროები თბილისის ამირას ზოგჯერ ქართლის ამირასაც უწოდებენ. ამირას კარზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი იყო ქართლის ერისმთავარი, რომლის ხელისუფლებაც IX საუკუნის დამდეგიდან გაუქმდა.

თბილისის ამირების უფლება-მოვალეობები სახალიფოს პროვინციების ამირების ფუნქციების ანალოგიური იყო.

თბილისის საამირო წარმოადგენდა საქართველოში ისლამის მთავარ საყრდენს და ისლამის გავრცელების ცენტრს. თბილისში ცხოვრობდა, ან ახლო აღმოსავლეთის ქალაქებში მოღვაწეობდა თბილისიდან გამოსული არაერთი მუსლიმი მწიგნობარი.

**კითხვები**

1. რა მიზნით შექმნეს არაბებმა თბილისის საამირო?
2. როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამირას ხელისუფლება და რა ძალაუფლებას ფლობდა ის?
3. რა ძალაუფლებას ფლობდა ამირას კარზე ქართლის ერისმთავარი?

**ეს საინტერესოა:**

❖ მურვან იბნ-მუჰამედის დასავლეთ საქართველოში ლაშქრობისას მას განსაკუთრებული წინააღმდე-

გობა გაუწიეს არგვეთის მთავრებმა დავით და კონსტანტინე მხეიძეებმა. მათ უარი თქვეს ისლამის აღიარებაზე და მოწამებრივად აღესრულნენ. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ისინი წმინდანებად შეირაცხნენ. მათ სახელზე ტაძრი “მოწამეთა” აშენდა.



სურ. 2.3.4.3. დავითი და კონსტანტინე

❖ საქართველოში ლაშქრობის შემდეგ მურვან იბნ-მუჰამედმა ჩრდილოკავკასიელი ხაზარები დაამარცხა. შემდეგ დამასკოში დაბრუნდა და ხალიფა გახდა. ის 750 წელს მოკლეს. როგორც ზემოთ ითქვა, სწორედ ამ წელს დასრულდა ომაიანთა მმართველობა და დაიწყო აბასიანთა ზეობა.

აბასიდებმა საგადასახადო პოლიტიკა შეცვალეს – ის უფრო გაამკაცრეს და მნიშვნელოვნად გაზარდეს მოსაკრებელი. ეს შეეხო არა მხოლოდ დაპყრობილ ტერიტორიებს, არამედ არაბებსაც. ასეთი რადიკალური ნაბიჯების მიზეზი უზარმაზარი ჯარის შენახვისთვის თანხების მოძიების აუცილებლობა იყო. საქართველოში არაბთა მიმართ წინააღმდეგობები არ წყდებოდა. განმათავისუფლებელ ბრძოლას სათავეში ერისმთავარი ნერსე II ედგა. სწორედ ამიტომ 772-773 წლებში ხალიფამ ნერსე ბაღდადში დაიბარა, სადაც მან ტყვეობაში სამი წელი დაჰყო. საქართველოში დაბრუნებული ნერსე კვლავ გაიწვიეს ხალიფას კარზე. ერისმთავარმა თავისი ოჯახის აფხაზეთის მთავარ ლეონთან გახიზვნა მოასწრო, თავად კი ხაზართა ხაკანთან გაემგზავრა დახმარების სათხოვნელად. როგორც ჩანს, მან მიზანს ვერ მიაღწია და თავადაც დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

**წყარო 4**

„ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგულარძნეს რომელნიმე მძლავრობით, რომელნიმე შეტყუებით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკურებით და სხუანი. რომელნი ესე ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ქუეშ და მონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკით შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშ მათსა გუეშულნი და ქეჯნილნი, ძვირ-ძვირად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“.

იოანე საბანისძე, „აბოს წამება“.

კავკასიელთა ძალები არაბთა წინააღმდეგ გაერთიანდა. ამჯერად სახალხო წინააღმდეგობას სათავეში, როგორც ჩანს, ის დიდებულები ჩაუდგნენ, რომლებიც ადრე არაბებთან მოლაპარაკებას არჩევდნენ.



**ეს საინტერესოა:**

ხელჩართულ ომებთან ერთად საქართველოში გამალებული იდეოლოგიური ბრძოლაც მიმდინარეობდა, რომლის ნათელი მაგალითია იოანე საბანისძის „აბოს წამება“. მასში მოთხრობილია, როგორ გამოჰყვა თან ნერსე II-ს სახალიფოდან არაბი ჭაბუკი აბო, რომელმაც უარყო ისლამი და ქრისტიანობა აღიარა. არაბებმა წამების შემდეგ მას თავი მოჰკვეთეს, ცხედარი დაწვეს და ფერფლი მტკვარში გადაყარეს. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ აბო წმინდანად შეირაცხა.

სურ. 2.3.4.4. აბო თბილელი

**კითხვები**

1. რამდენად წარმატებული სარდალი და პოლიტიკოსი იყო მურვან იბნ-მუჰამედი?
2. რამ გამოიწვია კავკასიელთა ძალების კონსოლიდაცია?
3. როგორ ფიქრობ, რატომ გაუსწორდნენ არაბები არისტოკრატიული ფენის წარმომადგენლებს?
4. თქვენი სიტყვებით გადმოეცით წყარო 4 (აბოდან) აღწერილი ვითარება; ახსენით მისი გამომწვევი მიზეზები.

**დავალება**

მურვან იბნ-მუჰამედის ლაშქრობათა ამსახველი რუკის, წყაროებისა და ტექსტის დახმარებით ისაუბრე VIII საუკუნის საქართველოში არაბთა ლაშქრობების მიზეზებსა და საბოლოო შედეგებზე.

**განმარტებები**

**ამირა** – არაბთა ხელისუფლების წარმომადგენელი საქართველოში (არაბობის დროს).



**IV თემა. ქართული სამეფო-სამთავროების წარმოშობა**

არაბთა ბატონობის სიმძიმე ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ რეგიონზე გადადიოდა. ყოველი ღონისძიება, რომელიც ქვეყნის აღორძინებისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ იყო მიმართული, არაბი მმართველების მიერ ჩანასახშივე ილაგებოდა. შექმნილი მდგომარეობის გამო ეროვნულმა მოძრაობამ პერიფერიებისაკენ გადაინაცვლა, რის გამოც ამ მოძრაობის სრულ კონტროლს დამპყრობლები ვეღარ ახორციელებდნენ. შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე თანდათან რამდენიმე სამეფო-სამთავრო აღმოცენდა; მათ დამოუკიდებლად განვითარება და პირველობისათვის ბრძოლა იწყეს.

VIII–IX საუკუნეებში საქართველოში მიმდინარე პროცესს ხალიფის ტახტისთვის წარმოებული ბრძოლაც უწყობდა ხელს, რაც ასუსტებდა არაბთა იმპერიას და გასაქანს აძლევდა დაქვემდებარებული ქვეყნების წინააღმდეგობას.

**§ 1. აფხაზეთის სამეფო**

VIII საუკუნის ბოლოს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთის სამეფო ჩამოყალიბებდა.

როგორც ვიცით, არაბებმა დასავლეთ საქართველოში ფეხის მოკიდება ვერ შეძლეს. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველებს მოკავშირეობას უწყევდა ბიზანტია, რომელიც ერთი მხრივ მხარს უჭერდა სახალიფოსაგან ქვეყნის დამოუკიდებლობას, ხოლო მეორე მხრივ აფერხებდა მის პოლიტიკურ მოლონირებას, რასაც, თავისთავად, ბიზანტიის გავლენის შემცირება მოჰყვებოდა.

VIII საუკუნისათვის ბიზანტიის სიძლიერე სახალიფოსთან განუწყვეტელმა ბრძოლამ საგრძნობლად შეარყია. გარეპოლიტიკურ პრობლემებს თან „ნატომებრძოლობის“ სახელით ცნობილი საეკლესიო განხეთქილებაც დაერთო, რომელმაც თანდათან მასშტაბური ხასიათი მიიღო და მთელი იმპერია მოიცვა.

**წყარო 1**

„რაჟამს მოუძღურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ესე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა და ძალითა მათითა გადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ იდგა მეფე აფხაზთა.“

„მატიანე ქართლისაი“.

**წყარო 2**

„ხოლო დაჯდა რა ესე ლეონ მეფედ და დაიპყრა ყოველი ეგრისი, არღარა უწოდა ეგრისი, არამედ აფხაზეთი და განყო ესე ეგრისი და აწ აფხაზეთი რვა საერისთაოდ: ერთს მისცა აფხაზეთი და ჯიქეთი ვიდრე ზღვამდე ...

მეორე დასუა ცხუმს და მისცა ანაკოფია ალანითურთ;

მესამე დასუა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლეთი ცხენის წყლამდე;

მეოთხეს მისცა გურია;

მეხუთე დასვა რაჭა-ლეჩხუმსა;

მეექვსე სვანეთსა;

მეშვიდე შორაპანს;

მერვე ქუთაისს.

ამანვე (ლეონ) აღაშენა ქუთაისი ქალაქი და ციხე და ჰყო ტახტად ესე ქუთაისი. ...

მოიწყო აფხაზეთი და განავო ყოვლითავე“.

ვახუშტი ბატონიშვილი.



სურ. 2.4.1.2. ქუთაისი.